სარეკორდო

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 26 ოქტომბერი 2005 №246 (2569) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევიზორი?

ოლსონი ფულის დასათვლელად ჩამოდის

2

ინგლისელები ჭკვიან ბურთს ითხოვენ

გადაკვეთა არგადაკვეთას ჩიპი იტყვის

5



კვალიფიკაცია და ფრთები იცვლება

ფორმულა 1-ის რევოლუციური სიახლე

15

ფაჩულიამ ორმაგი დუბლი გამოფინა

სადაცაა, ნბა გახურდება და პლანეტის ამ ზემძლავრ საკალათბურთო ლიგაში ქართველებიც გაიქნევენ ხელს. ახლა კლუბები ბოლო მზადებას გადიან და ერთმანეთს საგამოფენო მატჩებში ერკინებიან, რაც უსახელო მოთამაშეებისთვის თვითდამკვიდრების საუკეთესო საშუალებაა. ჰოდა, „ატლანტას“ ახალწვეული ზაზა ფაჩულიაც თამაშიდან თამაშამდე იხვეჭს სოლიდური ცენტრის რეპუტაციას. აგერ, ბოლო საგამოფენო მატჩში „მაიამი ჰითთან“ მორიგი ორმაგი დუბლი გამოჭედა. მაიამელებს გოლიათი შაკილ ონილი აკლდათ, მაგრამ არანაკლებ სახელიანი ცენტრის, გადანერგილი თირკმლით მობურთალი ალონზო მურნინგის იმედზე იყვნენ, რომელიც საბოლოოდ 6 ქულას დასჯერდა. მისმა ქართველმა ოპონენტმა ფაჩულიამ 13 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, რითაც საბოლოოდ დაიბევა ადგილი „ატლანტას“ ხუთეულში.

რომა-ლაციოს პროკურატურა ჩაუჯდა

ჩაეწყო! ფაქტები მაგიდაზე დაეწყო

გახსოვთ, ფრანჩესკო ტოტის საძმო რომ შევარდა „სტადიო ოლიმპიკოზე“ და რომაული დერბი ჩაშალა? ეს 2005-ის მაისში მოხდა, მაგრამ ხუთი თვის შემდეგ ჩვენ კი არა, გენუის პროკურატურამ გაიხსენა ჩაშლილი „რომა“ — „ლაციო“. რატომ გენუის, ვერ გეტყვით, მაგრამ მთავარი ეს არ არის. საინტერესო ისაა, რომ პროკურატურის აზრით, შესაძლოა, დერბი გარიგებული ყოფილიყო და ამის ვარაუდის საფუძველს ფეხბურთელთა სატელეფონო საუბრების ჩანაწერთა გადაკითხვა იძლევა. ერთ-ერთმა იტალიურმა გაზეთმა სწორედ ფეხბურთელთა ნალაქლაქევი გამოამზეურა და გენუის პროკურატურამაც ამ ფაქტზე საქმე აღძრა. „რომა“ — „ლაციოს“ გარდა საეჭვო კიდევ რამდენიმე მატჩია, რომლებიც 2004-2005 წლების სეზონში გაიმართა.

ფედერაციამ უეფა დამალა

ოლსონი ფულის დასათვლელად ჩამოდის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ორიოდ დღეში უეფას დირექტორ-განმკარგულებელს ლარს-კრისტერ ოლსონს უმასპინძლებს. ამ მაღალჩინოსნის საქართველოში ვიზიტი ფეხბურთის ფედერაციას რატომღაც გასაიდუმლოებული აქვს და ოლსონის სტუმრობის მიზანზე აქამდე არაფერი თქმულა.

როგორც გავიგეთ, უეფას დირექტორ-განმკარგულებელს ქართული ფეხბურთის თავკაცებთან სალაპარაკო ბევრი ექნება. ამბობენ, რომ უეფას დახმარების პროგრამა „ჰეთ თრიქით" გათვალისწინებული თანხა ფედერაციამ არამიზნობრივად გამოიყენაო... ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ გავიგეთ, რომ „ჰეთ თრიქის" ფულით, რომელიც საქართველოში რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების ოფისების აშენებასა და მინი-მოედნების გაკეთებას უნდა მოხმარებოდა, ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები საბერძნეთში სათამაშოდ წაიყვანა, 17-წლამდელები კი შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გაუშვა ბელგიაში.

რა პასუხს დაახვედრებენ უეფას რანგით მეორე კაცს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები, ოლსონის ვიზიტის შემდეგ გაირკვევა. ისე კი, უკვე გადაწყვეტილია, რომ ოლსონი სხვა სტუმრებთან ერთად მცხეთაში სახალისო ფეხბურთის აკადემიას გახსნის და ალბათ იქვე, „არმაზის" სტადიონზე „ვიტ ჯორჯია" — „სიონის" მატჩსაც დაესწრება.

ძოგა ინასარიძე

კახა კალაძეს ჩელსი არც ახსოვს

კახა კალაძე „მილანის" ბაზა მილანელოში ჟურნალისტებს შეხვდა და განაცხადა, ძნელი პერიოდი უკან მოვიტოვეო. ლაპარაკია სეზონის წინ კახას ინგლისურ „ჩელსიში" შესაძლო გადაბარგებაზე — შესაძლო კი არა, ლონდონელებთან კონტრაქტის გაფორმება ძალიან რეალური იყო, მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, მეგობრებს ველაპარაკე და საბოლოოდ დარჩენა ვარჩიეო, თქვა კახამ.

„დარწმუნებით ვიტყვი, მოხარული ვარ, რომ „როსონერიში" დავრჩი. მსოფლიოს საუკეთესო გუნდში ვთამაშობ."

შეგახსენებთ, კალაძემ სერია A-ს წინა ტურში „პალერმოსთან" მატჩი სათადარიგო სკამზე გაატარა, თუმც ისიცაა, რომ კარლო ანჩელოტიმ ამ შეხვედრაში არცთუ ოპტიმალური შემადგენლობა დააყენა — კახას გარდა „მილანს" რამდენიმე ლიდერი აკლდა.

ილია ნანოგაშვილი



გახოკიძის ტკივილის ქრონიკა

გოგას ტვენტეს ექიმები ათამაშებენ

საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური „ტვენტეს" ნახევარმცველ გოგა გახოკიძეს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და დღესაც მკურნალობს. არადა, გახოკიძემ, რომელიც საბერძნეთთან და ყაზახეთთან მატჩებისას ეროვნულ გუნდს სწორედ ტრავმის გამო დააკლდა, „ტვენტესთან" ერთად ვარჯიში ერთი კვირის წინ მთელი დატვირთვით განაახლა და... გუშინწინ ისევ ექიმების ხელში აღმოჩნდა

— არ ვიცი, რა ხდება. თითქოს გამოვჯანმრთელდი, მაგრამ ვარჯიშისას ადრე დაზიანებული კუნთი დამეჭიმა და ახლა ერთი კვირა კიდევ უნდა ვიმკურნალო — გვითხრა გუშინ გოგა გახოკიძემ — კუნთი სულ ერთ ადგილას მტკივა და მიზეზი ექიმებმა ვერაფრით გაიგეს. დღეს ხერხემალზე რენტგენიც კი გადამიღეს, მაგრამ არაფერი გამოჩნდა. ჯერჯერობით „ტვენტეს" ექიმები ისევ ძველი მეთოდებით ცდილობენ კუნთის გამრთელებას და რა გამოუვათ, ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდება. იქამდე კი, „ვალვაიკთან" და პსვ-თან მატჩების გამოტოვება მომიწევს. არადა, მწვრთნელი სწორედ ამ ორი უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის მამზადებდა.

— მერამდენედ გაგიმიზეზდა ეგ ტრავმა?

— აღარც ვიცი, სათვალავი ამერია. დატვირთვას მივიღებ და კუნთიც იჭიმება, საშინელი ტკივილები მაქვს. სანაკრებო მატჩებისას ორი კვირა დავისვენე, ვიმკურნალე, მერე ვარჯიში დავიწყე, სათამაშო ფორმა აღვიდგინე და ისევ დავშავდი. ლამისაა, ეს ტრავმა ქრონიკულად მექცეს.

— ექიმები დამაიმედებელს ვერაფერს გეუბნებიან?

— ვერაფერს. ახლა მითხრეს, ერთი კვირაც ადრინდელი პროცედურები გაიკეთე, შედეგს დაველოდოთო. ამდენი ლოდინით კი დავიღალე, თამაში მომენატრა.

— „ტვენტეს" ექიმების კვალიფიკაცია ხომ არ გაეჭვებს?

— გუნდში ჩემ გარდა კიდევ ოთხი ფეხბურთელია ტრავმირებული და მწვრთნელიც ძალიან შეშფოთებულია. ვნახოთ, ეს ერთი კვირაც და, თუ კუნთის ტკივილმა არ გამიარა, მერე ალბათ ეინდჰოვენში ძველ ნაცნობ ექიმს მივაკითხავ.

— ერთი კვირაც თუ იმკურნალე, ჩავთვალოთ, რომ სანაკრებო ამხანაგურ მატჩებსაც დააკლდები?

— აღბათ, აბა, ტურისტად ხომ არ ჩამოვალ?! თუმცა იმედი მაქვს, რომ ბულგარეთთან და იორდანიასთან მატჩებამდე ძველებურ ფორმას დავიბრუნებ და ნაკრებში გამოძახებასაც დავიმსახურებ.

ძოგა ინასარიძე

კიშინიოვაციები ფიფასტან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო და ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის განვითარების კომიტეტის უფროსი მენეჯერი ავთანდილ შალამბერიძე გუშინწინ დაბრუნდნენ მოლდოვიდან. მილჩენკომ და შალამბერიძემ კიშინიოვში ფიფას პროგრამა „future 3"-ის ეგიდით გამართულ არბიტრებისა და ასისტენტების ინსტრუქტორთა სემინარში მიიღეს მონაწილეობა. სემინარმა ერთ კვირას გასტანა, ორგანიზატორი კი ვალერი ჩუხრი გახლდათ, დსთ-ის ქვეყნებში ფიფას პროგრამის კურატორი. თავად სემინარებს ახლო წარსულში ცნობილი მსაჯები, ესპანელი ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი და პორტუგალიელი ვიტორ მანუელ მელო პერეირა ატარებდნენ. ფერნანდეს მარინი ფიფას მსაჯთა მომზადების ინსტრუქტორი გახლავთ, მელო პერეირა კი ფიფას მსაჯთა კომიტეტის წევრი.

სემინარში დსთ-ის თორმეტივე ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ანატოლი მილჩენკოსა და ავთანდილ შალამბერიძის თქმით, მოლდოვური ვოიაჟი საკმაოდ ნაყოფიერი იყო — სემინარზე ბევრ საინტერესო სიახლეზე ითქვა, მონაწილეებს ლიტერატურა და აუდიო-ვიდეო მასალებიც დაურიგეს. ჩატარდა აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობები, თუ როგორ უნდა მოემზადონ ახალგაზრდა, დამწყები და პროფესიონალი მსაჯები კონკრეტული თამაშიერის ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად.

ერთკვირიანი სემინარი მოლდოვის ნაკრების ბაზაზე ტარდებოდა, სტუმრებიც იქვე ცხოვრობდნენ. კომფორტი და საერთოდ, ორგანიზაცია უმაღლეს დონეზე ყოფილა.

„ლიტერატურა ინგლისურ ენაზეა, რომელსაც ქართულად აუცილებლად ვთარგმნით და ალბათ, წლის ბოლოსთვის გამოვცემთ. მასში გარკვეული ცვლილებებია ახალ წესებთან დაკავშირებით. თარგმანი დაურიგდებათ მსაჯებს, ინსპექტორებს და გუნდებს. მე და ბატონი ანატოლი მილჩენკო ყოველივე ამის თაობაზე ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს შევხვდებით და დეტალურად გავაცნობთ შთაბეჭდილებებს" — გვითხრა ბოლოს ავთანდილ შალამბერიძემ.

გიორგი ვაშაკიძე

ინგლისი

I ლიგა

გადადებული მატჩი

როტერჰემი 0:1 ბარნსლი

II ლიგა

გადადებული მატჩი

პიტერბრო 1:1 რეძსემი

ლიგის თასი. II ეტაპი

ასტონ ვილა 1:0 ბარნლი
კრ. პალასი 2:1 ლივერპული
დონკასტერი 2:0 ჯილინგემი
ფულემი 2:3 ვესტ ბრომვიჩი
მენსფილდი 2:3 მილუოლი
სანდერლენდი 3:0 არსენალი
უიგანი 3:0 უოტფორდი
ბლეკბერნი 2:0 ლიდსი
რედინგი 0:3 შეფილდი

გერმანია

თასი. II ეტაპი

ალემანია 1:2 ჰანოვერი
აინტრახტი 6:0 შალკე
ფრაიბურგი 4:1 ბრაუნშვაიგი
ნიურნბერგი 3:0 დინამო დრ
ერფურტი 2:4 ლაუტერნი
ზტ. პაული 4:0 ბოხუმი
უნტერჰახინგი 1:1 ზაარბრიუკენი 2:1 დდ
ვერდერი 1:1 ვოლფსბურგი 2:2 დდ 5:4 პ.

სლოვაკეთი

თასი. მეოთხედფინალი

ნიტრა 2:1 დუსლო
რუზომბეროკი 0:0 ტრენჩინი
სენეცი 1:1 არტმედია
ტრნავა 1:0 მოჩენოკი

იტალია

სერია B

IX ტური

არეცო 3:1 აველინო
ატალანტა 1:0 ბოლონია
ბარი 2:1 ვიჩენცა
კატანძარო 1:2 ბრეშა
ჩეზენა 0:0 კროტონე
მოდენა 3:0 კრემონეზე
პიაჩენცა 4:0 ტერნანა
ტრიესტინა 1:2 კატანია
ვერონა 0:0 ალბინოლეფე

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა

XVI ტური

რაპიდი 3:2 გრაცერი

შოტლანდია

პრემიერლიგა. XI ტური

აბერდინი 2:0 დანდი იუნ.

I დივიზიონი. XI ტური

ბრეჩინი 1:1 ძვინი
სტრანრარი 1:2 სტ. მირენი
სტ. ჯონსტონი 5:1 ჰამილტონი

II დივიზიონი. XI ტური

ალოა 1:4 დამბარტონი
მორტონი 1:2 სტირლინგი
გრეტნა 5:1 რეითი
პარტიკი 1:3 პიტერჰედი

III დივიზიონი. XI ტური

ალბიონი 1:1 მონტროუზი
ისტ სტირლინგი 1:2 ბერიკი
ელგინი 1:2 სტენჰაუზმური
ძუინზ პარკი 0:2 ძოუდენბითი

საფრანგეთი

ლიგის თასი. I ეტაპი

ლორიანი 2:2 ამიენი 5:4 პ.
ნანტი 1:1 ლიონი 4:3 პ.

ჰოლანდია

ამსტელის თასი. III ეტაპი

აფკ 0:2 მაასტრიხტი
დორდრეხტი 0:4 ვოლენდამი
პსვ 2:0 ემენი
იგლსი 0:1 როდა
ჰელმონდი 1:0 კეგრო
იონგი 1:0 აპელდორნი

ფინეთი

თასი. VII ტური

ჰონკა 0:1 ჰაკა
ტურკუ 1:1 ლაჰტი 5:3 პ.

ვისი იქნება სიონი?

სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ მყიდველი დღე-დღეზე გაცხადდება, ბოლნისის „სიონიც“ სწორედ ამის მოლოდინშია. გეცოდინებათ, „სიონის“ მფლობელები ბოლნისის რაიონის გამგეობა და „მადნეული“ არიან, კლუბის შენახვის ხარჯებიც მათ თანაბრად უნდა გაეღოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე წერია, რეალურად კი, „სიონს“ მხოლოდ გამგეობა პატრონობს — „მადნეული“ შეთანხმებას ვერ ასრულებდა.

ახლა კი საქმე სხვაგვარადაა: სატენდერო ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც „მადნეულის“ ახალ მფლობელებს „სიონის“ პატრონობაც ევალებათ. „სიონის“ დირექტორმა გია აბაზაძემ გვითხრა, სავარაუდოდ, „მადნეულს“ ერთ-ერთი ყაზახური კომპანია დაეუფლებაო, თუმცა ეკონომიკის სამინისტროს პრეს-ცენტრში გვითხრეს, ტენდერში ორი კომპანია — ინგლისური და ქართული ეცილება ერთმანეთს, გამარჯვებული კი ხუთ დღეში ოფიციალურად გახდება ცნობილიო.

ვნახოთ...

ილია ნანოგაშვილი

ბეშიქთაში კოლხეთობაში?

მერაბ ასანიძე: ფოთში ფეხბურთი არ უნდა ჩავკვდეს!

ფოთის „კოლხეთს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს — მერაბ ასანიძე, ფოთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის უფროსი. ასანიძე აქამდეც მონაწილეობდა „კოლხეთის“ მართვაში, მაგრამ როცა ფოთის მერმა ვანო საღინაძემ სთხოვა, ეგებ გუნდში პირველკაცობა გადაიბაროო, უარი არ უთქვამს. ბუნებრივია, გაჩნდა კითხვაც, რატომ დათანხმდა „კოლხეთის“ პრეზიდენტობას მერაბ ასანიძე?

— მერის თხოვნაზე უარის თქმა არ შეშეძლო, ბატონ ვანოსთან ამ საკითხზე ერთსაათიანი საუბარიც მქონდა. ძირითადად, რა თქმა უნდა, გუნდის თაობაზე, მომავალზე ვილაპარაკეთ. გულახდილად მითხრა, „კოლხეთის“ შენახვას მარტო მე ვერ გავწვდები და ეგებ შენ გაუძღვეო. საკმაო ხანს ვიფიქრე, კარგად ავწონ-დავწონე შექმნილი რეალობა და დავთანმხდი.

— „კოლხეთს“ კი ახლა ძალიან უჭირს...

— ეგრეა. ვანო საღინაძე თვითმმართველობის წარმომადგენელია და არა იურიდიული პირი. იგი კლუბს ქალაქის ბიუჯეტიდან რეგულარულად ვერ დააფინანსებდა.

— რის გაკეთებას აპირებთ კლუბში?

— უკვე მქონდა თათბირი იმ ბიზნესმენებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, გუნდს ფინანსურად დაეხმარონ. სამწუხაროდ, ერთადერთი გუნდი „კოლხეთია“, რომელიც უმაღლეს ლიგაში სამეგრელოს წარმოადგენს.

— ბიზნესმენებისგან რა პასუხი მიიღეთ?

— ფაქტობრივად, ყველა დამეთანხმა. ის კი არა, ფოთში საფეხბურთო სკოლის გახსნაც გვსურს უეფას დახმარებით. რამდენადაც ვიცი, უეფა ასეთ პროექტებს რეალურად ახორციელებს და ვფიქრობ, სკოლის გახსნა ურიგო არ იქნება. ფოთში არის შესაბამისი ბაზისი სკოლის გასახსნელად.

— ცნობილია, რომ „კოლხეთში“ თურქი ინვესტორი აპირებს თანხის ჩადებას...

— ასეა. ფოთში ერთ-ერთ თურქულ ფირმას დიდი პროექტის განხორციელება სურს. ლაპარაკია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენებაზე. ეს ფირმა სტამბოლის „ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი მეპატრონეა. მათთან წინასწარი საუბარი უკვე გვქონდა და წინასწარ ხელშეკრულებაში ისიც წერია, რომ ეს ფირმა საკუთარ თავზე აიღებს გუნდის დაფინანსებას.

— მათ ვინაობას ვერ გაამხელთ?

— იმ კაცის სახელი და გვარი არ ვიცი, მას ქალაქის მერი, ნავსადგურის უფროსი და მხარის გუბერნატორი შეხვდნენ. მე ის ვიცი, რომ თურქთა დაინტერესება რეალურია. ნოემბერში კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი, მეც მოლაპარაკებაში მაშინ ჩავერთვები.

— მაინც რა სახით აპირებენ თურქები „კოლხეთში“ მოსვლას?

— ვერ გეტყვით. თავად გადაწყვეტენ, შეისყიდონ თუ არა კლუბი. მათ ჯერ ის სურთ, რომ გუნდში შექმნილი ვითარება დაინახონ და კლუბის ინფრასტრუქტურას გაეცნონ.

— ესე იგი, არ გამორიცხავთ, რომ თურქმა შესაძლოა, „კოლხეთის“ პრეზიდენტობაც ისურვოს...

— რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ. თუმცა შეიძლება პირიქითაც მოიქცეს: უარი თქვას პრეზიდენტობაზე და მხოლოდ ფინანსურ დახმარებაზე დაგვთანხმდეს.

— ისე, „ბეშიქთაში“ საკმაოდ მდიდარი კლუბია...

— ფაქტია, ეს ფირმა „ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი მეპატრონეა. გითხარით, თურქებს ფოთში დიდი პროექტის განხორციელება სურთ და „კოლხეთით“ ისინი ქართულმა მხარემ დააინტერესა. ეს ფოთის პორტის უფროსის, ბატონ თემურ მიმინოშვილის იდეა გახლდათ. მთავრობის გადაწყვეტილებით, ნავსადგურს გუნდის შენახვის უფლება არა აქვს, ვერც მერია გასწვდებოდა ამ საქმეს. იმას კი არანაირად არ დავუშვებდით, რომ ფოთში ფეხბურთი ჩაკვდეს.

— თუ საიდუმლო არ არის, კლუბში კონკრეტულად რა თანხის ჩადებაზეა ლაპარაკი?

— თუ არ ვცდები, თურქების პროექტის განხორციელებაზე 700 მილიონი დოლარი უნდა დაიხარჯოს. აქედან რა თანხა დაერიცხება „კოლხეთს“, მერე გადაწყვეტენ, როცა სახელფასო ფონდი შეიქმნება.

გიორგი ვაშაკიძე

ახალი ტორპედოელები

რიონსაც დაიზრდებიან...

ქუთაისის „ტორპედო“ ყოველთვის საინტერესო თემაა ქართულ ფეხბურთში და მეტ-ნაკლებად ახლაც ასეა მიუხედავად იმისა, რომ იმერლები მაღალი ადგილებისთვის ვერ იბრძვიან. წინა სეზონის შემდეგ „ტორპედოს“ შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა: ახალი პრეზიდენტი, ახალი მთავარი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები და მიზანიც ახალი — მომავლის გუნდის გაკეთება.

ჩვენ „ახალ ტორპედოელებს“ გავესაუბრეთ, ისინი ახალგაზრდები არიან — 17 წლის ნახევარმცველი გიორგი ჯაში, 21 წლის ნახევარმცველი კობა შალამბერიძე და 21 წლის მცველი რატი ბარაბაძე. სამივემ გვითხრა, ბედნიერები ვართ, სახელტიტულებით საქართველოს ნომერ მეორე კლუბში რომ ვთამაშობთო...

გიორგი ჯაში

კობა შალამბერიძე


რატი ბარაბაძე

— „ტორპედომ“ ჩემპიონატი ძალიან მძიმედ დაიწყო. რა იყო ამის მიზეზი?

ჯაში: ახალი ფეხბურთელები შეიკრიბეთ, ბევრნი ერთმანეთს საერთოდ არ ვიცნობდით. მე „ნორჩ დინამოელში“ ვთამაშობდი, მაგრამ ახალ გუნდთან შეგუება მაინცდამაინც არ გამჭირვებია. უბრალოდ, შეთამაშების პრობლემა იყო. ახალი გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება.

შალამბერიძე: შეუთამაშებლობა. თანდათან მოვუმატებთ, ყოველ შემთხვევაში, ახლა უფრო კარგად გამოვიყურებით, ვიდრე სეზონის დასაწყისში. ვფიქრობ, ახალი წლიდან უფრო შედეგიანად ავთამაშდებით.

ბარაბაძე: ახალი გუნდი გაკეთდა, ბევრმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. მთავარია, რომ გუნდი პერსპექტიულია, ყველანი მონდომებულები ვართ.

— „ტორპედოში“ რა წინაპირობაა საიმისოდ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი გაიზარდოს?

ჯაში: თითქმის ყველანაირი. გვაქვს კარგი ბაზა, ყურადღება არ გვაკლია და, რაც მთავარია, მაღალ დონეზეა დისციპლინა. თანაც გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა, გამოცდილი ფეხბურთელები სულ ჩვენთან არიან, დავით ჯანაშია თანატოლივით გვეპყრობა.

შალამბერიძე: პირადად მე ჯანაშიასგან ბევრს ვსწავლობ. სეზონის წინ სხვა გუნდებისგანაც მქონდა წინადადებები, მაგრამ ქუთაისელი ვარ და თან ტრადიციებიც გასათვალისწინებელია — „ტორპედო“ მეორე გუნდია საქართველოში.

ბარაბაძე: პერსპექტიული ახალგაზრდები გვყავს და კარგი ბაზაც გვაქვს. ეგაა, ჯერ არ ვართ იმ დონეზე, რაც „ტორპედოს“ შეეფერება.

— ამ სეზონში თქვენი თამაშით კმაყოფილი ხართ?

ჯაში: გუნდში დიდი კონკურენციაა, მით უმეტეს, გამთამაშებლის პოზიცია ერთ-ერთი საკვანძოა. ჯერ სამი თამაში ჩავატარე და კმაყოფილი ვარო, ვერ ვიტყვი, მეტი უნდა გავაკეთო. ისე, „სოხუმთან“ მეორე ტაიმში მთლიანად გუნდმა და მეც კარგად ვითამაშეთ — ორი საგოლე პასი გავაკეთე.

შალამბერიძე: ჩემი თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არასოდეს ვარ, ვგრძნობ, რომ მეტი შემიძლია. პირველ ტურში „ამერთან“ მწვრთნელმა რევაზ ბურკაძემ მალე გამომცვალა — ჩემ თავსაც ვატყობდი, რომ გადაღლილი ვიყავი ბატესთან საუეფასთასო მატჩების შემდეგ. ახლა ეს პრობლემა ნაკლებად მაწუხებს და ვეცდები, ფორმაში მალე ჩავდგე.

ბარაბაძე: ერთი-ორი თამაში არ გამომივიდა, ტრავმაც მაწუხებდა. კარგი მატჩები კი „სოხუმთან“ და „ზესტაფონთან“ მქონდა.

— „ტორპედოს“ გულშემატკივრებზე რას იტყვით. მათ მხარდაჭერას გრძნობთ, თუ გაღიზიანებულები არიან წაგებებით?

ჯაში: არავითარი გაღიზიანება. მათ მშვენივრად ესმით, რომ „ტორპედოში“ მომავლის გუნდი კეთდება. მგონი, ქუთაისში ყველაზე კარგი გულშემატკივრები არიან, პირადად მეც ვგრძნობ მათ მხარდაჭერას. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ „ტორპედოს“ ფანებმა საკუთარი ვებ-გვერდიც შექმნეს.

შალამბერიძე: ძალიან კარგი ქომაგები გვყავს. გულშემატკივრებს ესმით, რომ ახალი გუნდი ეგრევე მოგებებს ვერ დაიწყებს.

ბარაბაძე: გულშემატკივრობა შარშან უფრო იყო და არცაა გასაკვირი: მაშინ ხომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით. თუმცა ახლაც დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ, ფეხბურთელთა უმეტესობა ქუთაისელია და ქომაგები ჩვენ მიმართ თბილად არიან განწყობილნი.

— ბოლო ტურებში „ტორპედო“ შედარებით მოფერიანდა. თბილისის „დინამოსთან“ თუ შეგეძლოთ ქულის აღება?

ჯაში: ვფიქრობ, მსაჯობამაც იქონია გავლენა, მაგრამ კლასით „დინამო“ რომ „ტორპედოზე“ მაღლა დგას, ესეც არაა საეჭვო. გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

შალამბერიძე: კლასის მომენტი აშკარად იგრძნობოდა, მაგრამ ალბათ მცირე შანსი ჩვენც გვქონდა...

ბარაბაძე: მსაჯს პენალტის დანიშვნა შეეძლო „დინამოს“ კარში, მაგრამ წაგებას ამას არ ვაბრალებ. ამ ეტაპზე „დინამო“ „ტორპედოზე“ ძლიერია.

ილია ნანოგაშვილი

ეროვნული ნაკრები

ეროვნული ბანალური

ეროვნული ...

ეროვნული ...

ალექსანდრე ჩივაძის არჩათვლილი და რამონ დიასის არაჩვეულებრივი გოლი

...1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრები უფრო მაგარი იქნება, ვიდრე 1978 წელს იყო, როცა ჩემპიონი გახდა — ასე ლაპარაკობდნენ მაშინ თბილისში და არა მარტო თბილისში. გულშემატკივართა ამგვარი მსჯელობა მეტწილად ასეთ არგუმენტს ეყრდნობოდა — 1979 წელს მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი არგენტინამ მოიგო, რომელსაც დიეგო მარადონა და რამონ დიასი ჰყავდა.

...1982 წლის მუნდიალზე ესპანეთში არგენტინას ხელი მოეცარა, თუმც მარადონამ და დიასმა ალაგ-ალაგ მართლაც გაიბრწყინეს. შემდეგ კი მათი კარიერა სხვადასხვანაირად წარიმართა — დიასმა ისე ვერ იკაშკაშა, როგორც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმც 1982-83 წლების სეზონში მართლაც ჩინებულ ფორმაში იყო.

სწორედ მაშინ გადაეყარა თბილისის „დინამო" იტალიურ „ნაპოლის" უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში და თბილისში რამონ დიასი ჩამოვიდა, ხალხმა მისი თამაში და არაჩვეულებრივი გოლი იხილა...

ისე, „დინამოს" იტალიურ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვს — ექვსი მატჩიდან სამი მოიგო, ორი ფრედ ითამაშა და ერთი წააგო სწორედ 1982 წლის „ნაპოლისთან". პირველად „დინამო" „ნაპოლის" 1978 წელს შეხვდა და მაშინაც უეფას თასის 1/32 ფინალში, მაგრამ მეორე ჯერზე ნეაპოლელებს დაეჩაგვრინა.

1982 წლის „ნაპოლის" ამბებს ნოდარ ხიზანიშვილი გვიყვება.

დავით თაგართქილაძე

ბადრი ჯობლაძის ფოტო

როცა „ნაპოლის" ვხვდებოდით, მაშინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში პირველ ადგილზე ვიყავით, მაგრამ მერე თანდათან გავაუარესეთ თამაში და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავედით — ევროტურნირების გარეშე დავრჩით.

რა დაგვემართა 1982 წელს? წინა წელი ჩვენთვის ტრიუმფალური იყო და, როცა რაღაცას მიაღწევ, ამით კმაყოფილდები — ასეთი რამ დაგვემართა მაშინ. უწინდელი ჟინი და მიზანსწრაფვა აღარ გვქონდა და, ალბათ, ყველაზე უფრო ეს იყო იმის მიზეზი, რომ ორი მატჩის ჯამში „ნაპოლი" ვერ ჩამოვიცილეთ გზიდან. ისიცაა, რომ „დინამოში" მაშინ თაობათა ცვლა მიდიოდა.

იმ დროისთვის საბჭოთა კავშირის გუნდებიდან ყველაზე დიდი დასწრება „დინამოს" ჰქონდა და „ნაპოლისთანაც", რა თქმა უნდა, სტადიონი გაივსო. დიასის გარდა „ნაპოლიში" მაშინ კიდევ ერთი დიდი ფეხბურთელი თამაშობდა — ლეგენდარული ჰოლანდიელი მცველი რუდი კროლი.

ჩვენ მალევე დავწინაურდით — უმცროსი მიხეილ მესხის ფლანგურ გარღვევას კარის გასწვრივ ჩაწოდება მოჰყვა, „ნაპოლის" საჯარიმოში არეულობა შეიქმნა და შეტევაში ჩართულმა გოლიც გავიტანე. შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული გოლი იყო.

თანაბარი თამაში წავიდა, მაგრამ იტალიელებმა მაინც გაგვითანაბრეს. დიასმა, ფაქტობრივად, არაფრისგან შეაგდო ბურთი — ჩვენი კარიდან საკმაოდ შორს მყოფმა ძალიან ოსტატურად, ალღოიანად და ზუსტად დაარტყა, ისე, რომ ოთარ გაბელიამ ამ რეაქციაც ვერ მოასწრო, მაგრამ ეს ისეთი დარტყმა იყო, მის ვერმოგერიებას ოთარს ნამდვილად ვერ ვუსაყვედურებდით — ასეთი ბურთები აუღებელია. მთლიანობაში კი, გაბელიამ კარგად ითამაშა, რომ არა ის, თბილისში „ნაპოლის" ალბათ ვერ მოვუგებდით.

დიასის გოლამდე შოთა ხინჩაგაშვილი ისე დაგვიშავდა, რომ შესაცვლელი შეიქნა, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო.

დიასის პერსონალურად მეურვეობა ნოდარ ახალკაცს არავისთვის დაუვალებია, მწვრთნელმა ზონური დაცვით გვათამაშა.

გაშვებული გოლის შემდეგ გასატანად გავიწიეთ და გარჯაც დაგვიფასდა — მცველების, საშა ჩივაძისა და ამირან ანდღულაძის დაწყებული კომბინაცია რამაზ შენგელიამ დაასრულა — ფლანგური ჩაწოდების შემდეგ შენგელიამ ჩვეულ სტილში, დასწრებაზე ითამაშა და კვლავ დავწინაურდით.

იტალიელები ჩვენს თავდამსხმელებს პერსონალურად მეურვეობდნენ, დაზღვევაზე კი კროლი მოქმედებდა, მაგრამ ისე კარგად გავშალეთ ეს შეტევა, რომ ნაპოლელებმა ვერაფერი გააწყვეს.

მეორე ტაიმში თანაბარი ბრძოლა იყო, თუმც უფრო მწვავედ ჩვენ ვუტევედით. სტუმრებმა კი ერთი-ორი კარგი კონტრშეტევა განახორციელეს. კარგი მომენტი ჰქონდა მესხს — მარცხნიდან შეიჭრა იტალიელთა საჯარიმოში და ძელს გაარტყა ბურთი.

საპასუხო შეხვედრა ნეაპოლში სანახაობრივი ნამდვილად არ იყო. იტალიელები ფრთხილად თამაშობდნენ და თავქუდმოგლეჯილებივით შეტევაში არ წასულან. „ნაპოლი" გვეტევედა, მაგრამ თავს კარგად ვიცავდით.

მეორე ტაიმი არცთუ ახალი დაწყებული იყო, როცა ჩვენი საჯარიმოს სიახლოვეს ჯარიმა დაინიშნა. დარტყმა დიასმა ითავა, ბურთი ცოცხალ კედელში გაძვრა, გაბელიამ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას დალ ფიუმემ დაასწრო.

„დინამოს" ევროპაში მაშინ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და „ნაპოლისთან" შეხვედრაში ფავორიტებადაც ვითვლებოდით. ალბათ, ამიტომაც იყო, „ნაპოლი" ძალიან ფრთხილად რომ თამაშობდა და თავისი მაქსიმუმი გამოწურა.

0:1-ის შემდეგ უფრო მწვავედ შევუტიეთ, მაგრამ ჩაკეტილი თამაში, ტემპის დაგდება და თავდაცვა ხომ იტალიელებს ძალიან კარგად ეხერხებათ. მიუხედავად ამისა, გოლი მაინც გავიტანეთ — ჩივაძემ საჯარიმო დარტყმით შეაგდო, მაგრამ გერმანელმა მსაჯმა ეშვაილერმა გოლი არ ჩათვალა — ერთ-ერთი იტალიელი ცოცხალი კედლიდან ჩივაძის დარტყმამდე გამოიჭრა წინ და მსაჯმაც, ჯარიმა თავიდან უნდა დაარტყათო. რა თქმა უნდა, მას თავისუფლად შეეძლო, გოლი ჩაეთვალა, მაგრამ...

მატჩის შემდეგ იტალიელმა ჟურნალისტებმა ნოდარ ახალკაცს მსაჯის ამ გადაწყვეტილებაზე კომენტარი სთხოვეს. მეც მსურს ვიცოდე, თუ რატომ არ ჩათვალა მსაჯმა ჩივაძის გოლიო — უპასუხა ახალკაცმა.

ასე გამოვეთიშეთ უეფას თასს პირველივე მეტოქესთან, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილებაზე უფრო მარცხს იმას ვაბრალებ, რომ უწინდელი ჟინი და მიზანსწრაფვა აღარ გვქონდა.

რუდი კროლი



რამონ დიასი

უეფას თასი 1982

1/32 ფინალი

პირველი მატჩი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახ. დინამოს სტადიონი

15 სექტემბერი. 80 550 მაყურებელი

დინამო 2:1 ნაპოლი

1:0 ხიზანიშვილი (5), 1:1 დიასი (19), 2:1 შენგელია (32)

დინამო: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი (ანდღულაძე 12), მუჯირი (ჯოხაძე 67), დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, მესხი, ცაავა, შენგელია

ნაპოლი: კასტელინი, ბრუსკოლოტი, ფერარიო, მარინო (ამოდიო 46), კროლი, ჩელესტინი, ვინაცანი, დალ ფიუმე, დიასი, კრიშიმანი, პელეგრინი

მსაჯი: რ. ვალენტაინი (შოტლანდია)

საპასუხო მატჩი

ნეაპოლი. „სან პაულო"

29 სექტემბერი. 90 000 მაყურებელი

ნაპოლი 1:0 დინამო

1:0 დალ ფიუმე (59)

ნაპოლი: კასტელინი, ბრუსკოლოტი, ფერარიო, ჩელესტინი, კროლი, ჩიტერიო (ამოდიო 79), ვინაცანი, დალ ფიუმე, დიასი, კრიშიმანი (მარინო 14), პელეგრინი

დინამო: გაბელია, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი (მესხი 46), ცაავა (ჯოხაძე 63), შენგელია

მსაჯი: ვ. ეშვაილერი (გფრ)



ესპანეთში კოულზე ნადირობა დაიწყო

მადრიდის „რეალი“ რობერტო კარლოსის შემცვლელს დაეძებს. ოკეანისგაღმელი გალაქტიკოს რაც უფრო ხანში შედის, სისწრაფე ეკარგება და „სამეფო გუნდსაც“ კარლოსის მარცხენა ფლანგიდან შემოჭრილი მეტოქის მოიერიშეები უკვე ხშირად აზარალებენ.

იქაური „ასის“ და მარკას“ ცნობებით, ფლორენტინო პერესის კლუბს გადაუწყვეტია, ბრაზილიელი არენსალელი ეშლი კოულით ჩაანაცვლოს. 24 წლის უკანახაზელს „მეთოფეთა“ მწვრთნელთან ცუდი ურთიერთობა აქვს. მას შემდეგ, რაც კოულმა „ჩელსისთან“ სატრანსფერო მოლაპარაკება წამოიწყო, არსენ ვენგერს შეგირდზე გული აუცრუვდა.

„ჰაიბერის“ მცველს „არსენალში“ ყოფნა კონტრაქტით 2008 წლამდე უწევს, თუმც „რეალის“ სატრანსფერო მონდომებას თუ გავითვალისწინებთ, საეჭვოა, ინგლისელმა თავის ამჟამინდელ კლუბში ხელშეკრულებით დათქმულ ვადამდე მოიცადოს.

„კოული სწრაფი და აგრესიული უკანახაზელია. კარიერაც ისე დაიწყო, როგორც თავდამსხმელმა. ბოლოს და ბოლოს „არსენალმა“ მადრიდელთა ინტერესები აღიარა. იმაზე, რაზეც ინგლისური პრესა უკვე კარგა ხანია წერს, „მეთოფეთა“ ბანაკში გუშინ ალაპარაკდნენ“ — გვამცნობს ესპანური „მარკა.

ლადო ხომერიკი

რობსონი ჰართსზე ფიქრობს

შოტლანდიური პრემიერლიგის ლიდერი „ჰართსი“ მწვრთნელს ეძებს და ბობი რობსონს მიადგა. იგი უკვე ერთი წელია უქმადაა, მას შემდეგ, რაც „ნიუკასლიდან“ წავიდა.

„ჰართსის“ თავმჯდომარე ჯორჯ ფოულკსს 72 წლის ინგლისელის მიყვანა კლუბში გასულ ზაფხულსაც სურდა, მაგრამ უარი მიიღო. ამჯერად რობსონმა განაცხადა: „მაშინ უარი პირადული მიზეზის გამო ვთქვი, ახლა კი სულ სხვა, უკეთეს ვითარებაში ვარ და „ჰართსის“ მწვრთნელობაც მიმზიდველი სამუშაოა“.

ჰართსელთა პატრონმა ვლადიმირ რომანოვმა გასულ კვირაში ჯორჯ ბარლი გაათავისუფლა, რადგან ერთმანეთში სატრანსფერო პოლიტიკაზე ვერ მორიგდნენ. ბარლის ადგილი დროებით ჯონ მაკლინმა დაიკავა, ბობი რობსონმა კი შოტლანდიურ კლუბს შეუთვალა, ჩემს საქმეში რომანოვის ჩარევას ვერ შეეგუები, მხოლოდ ამ შემთხვევაში დავთანხმდები მუშაობაზეო.

„ჰართსის“ სავარაუდო მწვრთნელთა სიაში ნევიო სკალა და ბილი დევისიც არიან. დევისმა გასულ გაზაფხულზე „პრესტონი“ ინგლისის პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში გაიყვანა, სადაც „ვესტ ჰემთან“ დამარცხდა.



ვაჟა ხუციშვილი

ინგლისელები ჭკვიან ბურთს ითხოვენ

პრემიერლიგის მსაჯები კარის ხაზის ვიდეოკონტროლს ითხოვენ ფიფასაგან.

ხმაური მას შემდეგ დაიწყო, რაც კვირას, „ვესტ ჰემ“ — „მიდლსბროს“ მატჩში მსაჯმა ბოროს კარში ის გოლი ჩათვალა, რომელიც სინამდვილეში არ გასულა: „ბოროელმა კრის რიგოტმა თავის კარში ჩაჭრა ბურთი, მას მეკარე მარკ შვარცერი მისწვდა, მაგრამ მსაჯმა გადაწყვიტა, რომ მეკარემ ხაზს შიგნით დაიჭირა იგი.

ფიფა მართლაც ცდილობს, რომ თამაშის სამსაჯო აღქმა უფრო მოხერხებული გახადოს და ამისთვის აპირებს ბურთში ჩიპი ჩაამაგროს, რომელიც მხოლოდ მაშინ გადასცემს სიგნალს, როცა ბურთი კარის ხაზს გადაკვეთს.

ინგლისის მსაჯთა თავკაცმა ეი ჰეკეტმა თქვა: „ტექნოლოგია აუცილებელია, უამისოდ გვიჭირს. მთავარია, რომ ტექნოლოგია დაგვეხმაროს. ვიდეოზე არ არის ლაპარაკი. ლაპარაკია კარის ხაზის საკითხზე, მაგრამ საქმე საჩქაროა“.

პრემიერლიგის ბურთში მალე შესაძლოა ჩიპი ჩასვან

კარის ხაზის ტექნოლოგია ფიფამ ამასწინათ 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსცადა. პერუში და კიდევ რამდენიმე გამაცდას აპირებს. ამ სისტემას „სამართლიანს“, ანუ ჭკვიან ბურთს უწოდებენ და იანვარში, კლუბების მსოფლიო ჩემპიონატზეც გამოსცდიან. საბოლოო მიზანი კი გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატია. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დირექტორმა დევიდ დევისმა კი თქვა: „ინგლისი ყოველთვის თამამი იყო სიახლის საქმეში. მაგრამ არ მგონია, რომ ასეთი ბურთით მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში მოესწროს. გამოცდა კვლავ საჭიროა. ასეც და ხვეწაც“.

„ვესტ ჰემ“-„მიდლსბროს“ თამაშის გვერდითმა მსაჯმა ბოუნმა, რომელმაც ჩაათვლევინა კიდეც რეფერი სტივ ბენეტს გოლი „ბოროს“ მენეჯერ სტივ მაკლარენს დაურეკა და მოუბოდიშა. „ვესტ ჰემელმა“ ტედი შერინგემმაც თქვა, შორიახლოს ვიდეო და ბურთი კარში არ შესულა, მაგრამ გვერდითი მსაჯი ვერაფრით ვერ დაინახავდაო.

რას იზამ და ჭკვიან ბურთს გამოაგორებ.

ირაკლი გამყრელიძე

ბოკას ბიანკის ეიმედება



„ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტი მაურისიო მაკრი სამხრეთამერიკელი გრანდის ინჩასობას კლუბში ძველი მწვრთნელის, კარლოს ბიანკის დაბრუნებას დაჰპირდა.

„როცა ბიანკი მადრიდის „ატლეტიკოდან“ კვლავ არგენტინაში ჩამოვა, იგი სწორედ „ბოკას“ ჩაუდგება სათავეში“ — უთხრა მაკრიმ „ლა ნასიონის“ ჟურნალისტს.

ბიანკი „ბოკა ხუნიორსისთვის“ სათაყვანებელი კაცია — „ლა ბონბონერას“ გუნდთან ერთად 9 დიდი ჯილდო აქვს მოპოვებული. მან კლუბი ორჯერ დატოვა, ერთხელ 2002-ში და შემდეგ 2004-ში. „ბონბონერაზე“ „ელ ვირეის“ (მეფისნაცვალი, კარლოს ბიანკის მეტსახელი) შემდეგ რიგით მესამე სპეციალისტი მწვრთნელობს — ალფიო ბაზილემდე მაკრიმ ანხელ ბრინდიზე და ხორხე ბენიტესი დაითხოვა.

როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად კარლოს ბიანკი ესპანეთში მოღვაწეობს და მადრიდის „ატლეტიკოს“ დამრიგებელია.

ლადო ხომერიკი

მე ვხედავ მილანს

პსვ-ს ბრაზილიელ მცველ ალექსს სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლა და „მილანის“ ფეხბურთელობა უნდა.

იგი „ჩელსის“ ეკუთვნის, მაგრამ სათანადო რაოდენობის სანაკრებო მატჩების მოგროვებამდე ბრიტანეთში მუშაობის უფლებას არ აძლევენ. ამიტომ „ჩელსიმ“ 2004-ის ზაფხულში პსვ-ს ორი წლით ათხოვა და ალექსიც ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად იქცა.

23 წლის ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ მისი კარგი თამაში „მილანს“ თვალს მოსჭრის და „შავ-წითლები“ კიდევ ერთ ბრაზილიელზე უარს არ იტყვიან. „მილანი“ პსვ-ს ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების ნახევარფინალში შეხვდა და ამჯერადაც ჯგუფში ერთად არიან.

„დიდასთან, კაფუსთან და კაკასთან ერთად გუნდში ყოფნა ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა, მათ შორის ჩემიც. თავდაუზოგავად ვშრომობ, რათა უკეთესი გავხდე. „მილანი“ ევროპაში ჩემი ფავორიტი კლუბია. იქ ბევრი ბრაზილიელი თამაშობს და შეგუება არ გამიჭირდება“ — თქვა ალექსმა.

ვაჟა ხუციშვილი



ალექსი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XIII ტური

ისტრი 1:0 ბასტია						
სედანი	12	8	3	1	18:8	27
კრეტეი	13	6	4	3	21:11	22
შატორუ	13	6	4	3	17:13	22
ბასტია	12	6	3	3	17:9	21
ლორიანი	13	5	5	3	16:11	20
ვალანსი	13	5	5	3	14:11	20
გრენობლი	13	5	3	5	12:13	18
კაენი	13	4	5	4	14:11	17
ამიენი	13	4	5	4	12:10	17
ლე ავრი	13	4	5	4	17:16	17
ბრესტი	13	3	7	3	12:13	16
გენიონი	13	3	7	3	9:13	16
ისტრი	13	3	6	4	12:14	15
დიჟონი	13	3	6	4	10:12	15
რეიმსი	13	3	5	5	6:8	14
ლავალი	13	4	2	7	12:19	14
მონპელიე	13	3	4	6	13:19	13
კლერმონი	13	3	4	6	6:20	13
სეტე	13	2	6	5	11:14	12
გენგამი	13	1	7	5	7:11	10

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. X ტური

ტეპლიცე 0:0 ლიბერეცი						
ლიბერეცი	10	7	2	1	16:5	23
ტეპლიცე	10	7	2	1	17:7	23
სლავია	10	5	3	2	20:13	18
პრჟიბრამი	10	5	2	3	17:12	17
სიგმა	10	5	1	4	14:15	16
პლზენი	10	4	3	3	14:12	15
იაბლონეცი	10	4	2	4	15:14	14
ბოლესლავი	10	4	2	4	18:18	14
სპარტა	10	4	1	5	14:17	13
ბანიკი	10	3	3	4	10:12	12
ზლინი	10	3	2	5	10:13	11
იჰლავა	10	3	2	5	9:16	11
მოსტი	10	3	1	6	12:14	10
სლოვაკეთი	10	2	4	4	10:12	10
ბლშანი	10	2	3	5	11:22	9
ბრნო	10	0	5	5	11:16	5

ინგლისი

ჩემპიონატი

გადადებული მატჩი

შეფილდი 1:1 ბრაიტონი

1:0 პიკოკი (55), 1:1 რიჩარდსი (90)

შეფილდი	16	12	2	2	32:14	38
რედინგი	15	10	4	1	25:8	34
ლუთონი	15	8	4	3	25:17	28
ლიდსი	14	7	4	3	18:13	25
კრ. პალასი	14	7	2	5	22:13	23
უოტფორდი	15	6	5	4	23:18	23
კარდიფი	14	6	4	4	25:18	22
ვულვზი	15	5	6	4	19:14	21
საუთჰემპტონი	15	4	9	2	17:13	21
ქუინზ პარკი	15	5	6	4	16:17	21
სტოკი	15	6	1	8	15:22	19
ჰალი	15	4	6	5	13:13	18
ლესტერი	15	4	6	5	16:18	18
იფსვიჩი	15	5	3	7	14:22	18
დერბი	15	3	8	4	20:21	17
პრესტონი	15	3	8	4	16:18	17
ბარნლი	15	4	4	7	20:20	16
ნორვიჩი	15	4	4	7	16:21	16
პლიმუთი	15	3	6	6	12:19	15
ბრაიტონი	15	2	8	5	15:20	14
ქოვენთრი	15	2	7	6	19:26	13
უენსდი	13	2	6	5	11:16	12
ქრიუ	15	2	6	7	15:29	12
მილუოლი	15	2	5	8	11:25	11

იტალია

ბოლი ბანდელლი

რეკორდის მოლოდინში

IX ტური

დღეს

ასკოლი	:	უდინეზე
კალიარი	:	ლივორნო
მესინა	:	ჟილანი
ინტერი	:	რომა
იუვენტუსი	:	სამპდორია
ლაციო	:	კიევო
პალერმო	:	ლეჩე
პარმა	:	მესინა
რეჯინა	:	ტრევიზო
სიენა	:	ფიორენტინა

საღლეისო ვითარება

იუვენტუსი	8	8	0	0	16:2	24
მილანი	8	6	1	1	15:6	19
ინტერი	8	6	0	2	16:5	18
ფიორენტინა	8	5	1	2	18:11	16
კიევო.	8	4	2	2	10:7	14
ლაციო	8	4	2	2	11:10	14
ლივორნო	8	4	2	2	8:9	14
სამპდორია	8	4	1	3	17:13	13
ემპოლი	8	4	1	3	9:10	13
პალერმო	8	3	3	2	14:14	12
უდინეზე	8	4	0	4	10:10	12
სიენა	8	3	2	3	17:17	11
ასკოლი	8	2	4	2	9:9	10
რომა	8	2	3	3	10:7	9
რეჯინა	8	2	0	6	8:13	6
პარმა	8	1	2	5	7:16	5
მესინა	8	0	4	4	7:14	4
ლეჩე	8	1	1	6	5:14	4
კალიარი	8	0	3	5	5:14	3
ტრევიზო	8	0	2	6	3:14	2

მეცხრე ტური განსაკუთრებით ორი რამით გამოირჩევა — „ინტერი" „სან სიროზე" „რომას" მასპინძლობს, ხოლო „იუვენტუსი" მეცხრე მატჩის მოგების შემთხვევაშიც სერია A-ს ახალ რეკორდს დაამყარებს.

ტურინელებს არც ისე იოლი მატჩი ელით, „სამპდორიას" შესაძლებლობები თავადაც კარგად მოგეხსენებათ. გავიხსენოთ ისიც, რომ შარშან „დელე ალპიზე" სწორედ გენუელებმა იმარჯვეს.

ფაბიო კაპელო ისევ როტაციის პრინციპს მიმართავს. მისი გადაწყვეტილებით, ზლატან იბრაჰიმოვიჩი დაისვენებს. შემტევი წყვილი ტრეზეგე-დელ პიერო იქნება. ამის ერთ-ერთი მიზეზი მომავალ უქმეებზე „მილანთან" სუპერმატჩიც გახლავთ. ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება მაურო კამორანეზიც, ხოლო ჯორჯო კიელინი და ადრიან მუტუ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებენ. სტუმრებს ერთადერთი, მაგრამ სერიოზული დანაკლისი აქვთ. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ფრანჩესკო ფლაკი დისკვალიფიცირებულია.

ეს-ესაა „რომამ" „ლაციოსთან" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაიტანა და ახლა კიდევ ერთ პრინციპულ მეტოქესთან უწევს ჯახი. დედაქალაქელები „ინტერს" ალბერტო აკილანისა და ლუიჯი სარტორის გარეშე ეწვივნენ. მასპინძლების ლაზარეთი კი უფრო შთამბეჭდავია — ხავიერ ძანეტის კილი გონსალესსა და დეიან სტანკოვიჩს ტრავმები აქვთ. გარდა ამისა, მხარს იტკიებს ადრიანოც. წინასწარი ინფორმაციით, „გლადიატორთა" ახალბედა გოლკიპერ დონის კარს მარტინესისა და კრუზის წყვილი შეუტევს. „რომაში" ვარსკვლავად ქცეული ვალტერ სამუელი კი პირველად იბურთავებს თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ.

„მილანი" კი „ემპოლის" სტუმრობს. ამ მატჩს ასეც ნათლავენ: სერია A-ს ყველაზე ბებერი დაცვა ყველაზე ახალგაზრდის წინააღმდეგ. ემპოლი ძირითადად ნორჩი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. განსაკუთრებით უკანა ხაზში.

კარლო ანჩელოტის გუნდს არცთუ მარტივი გასეირნება ელის... „ემპოლი" და მისი მთავარმეგოლე ფრანჩესკო ტავანო მშვენიერ ფორმაშია. „როსონერის" კი ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი არ ეყოლება — მასიმო ამბროზინი, ალესანდრო ნესტა, იაპ სტამი და გუნდის ლიდერი ანდრეი შევჩენკო. მასპინძელთა დანაკლისი გაცილებით მწირია — ნიკოლა ასკოლი და კრისტიან რიგანო.

წესით, ძალიან საინტერესო ფინალი უნდა გამოდგეს. მატჩი [illegible] ადგილობრივებს [illegible] „ფიორენტინა" სტუმრობს. ფლორენციელებს ჟილერმო დე პრადო, კრისტიან მაჯო, ალესანდრო გამბერინი და ჯუზეპე პანკარო აკლიათ. მასპინძლებს კი მხოლოდ მასიმო მარაცინა.

დაბოლოს, ორი სიტყვით გასული ტურიც გავიხსენოთ. ჩვენმა აპენინელმა კოლეგებმა მის საუკეთესო მოთამაშედ ჰეო თრიქის ავტორი და ამჟამად ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ლუკა ტონი აღიარეს. „ფიორენტინას" ახმახი ფორვარდი მარიოლაც შესაშურ ფორმაშია. ყველაზე ლამაზი გოლის ავტორად კი კიევოელი ვიქტორ ობინია მიიჩნიეს. ახალგაზრდა ნიგერიელი ეფექტური ბურთების შეგდებას უკვე დაეჩვია. ამჯერად მან „კალიარისთან" მატჩში მშვენიერი გარღვევა დაასრულა შედეგიანად.



ობინიას ზღაპრული პერიოდი

ვალტერ სამუელი

იტალიაში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ თვრამეტი წლის ვუნდერკინდი, კიევოელი „საოცრება" ვიქტორ ობინია იანვარში „სან სიროს" მკვიდრი გახდება. ნიგერიელი კი ირწმუნება, რომ „ინტერში" გადასვლის შესახებ არაფერი გაუგია:

„აზრზე არ ვარ, რა ტრანსფერზეა საუბარი. ჩემთვის არავის მოუმართავს და ამიტომ დუმილს ვამჯობინებ. ერთადერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ ფეხბურთის თამაშს ვაპირებ".

ობინია მას შემდეგ მოექცა იტალიური გრანდების ყურადღების ცენტრში, რაც „სამპადორიას" და „კალიარის" ორი ზღაპრული გოლი გაუტანა.

„კმაყოფილი ვარ მიმდინარე სეზონით. ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდია და მსურს, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. მინდა, მადლობა ვუთხრა თანაგუნდელებს, რომელთა დახმარებითაც ამ დონეზე თამაში არ გამჭირვებია. მე ხომ ჯერ თვრამეტის ვარ. არ შემიძლია, მწვრთნელი არ ვახსენო, რომელმაც პირველ რიგში ჩემი პიროვნების ფორმირებაში შემიწყო ხელი. რა გითხრათ, „ინტერი" დიდი გუნდია, იქ თამაში ვის არ სურს? მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი ერთ შემოთავაზებას ანაცვალო. მე ჩემი კლუბის ვალი მაქვს, ადამიანური, მორალური. დადგება დრო, როცა დიდ კლუბში გადავალ, მაგრამ ეს ბუნებრივად და უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს" — დაასრულა ასაკით პატარამ, მაგრამ შეგნებით უკვე დიდმა კაცმა.

„ინტერში" „რომადან" ბუნებრივად და უმტკივნეულოდ გადასულმა ვალტერ სამუელმა (თუმც მათ შორის „რეალი" იყო) კი განაცხადა, რომ თუ თავის ყოფილ კლუბს გაუტანს, სიხარულს საჯაროდ არ გამოხატავს. მან ხომ სახელი ევროპაში სწორედ დედაქალაქურ გუნდში თამაშით გაითქვა.

„არა მგონია, გამიხარდეს „რომას" კარში გატანა. რომში ბევრი მეგობარი მყავს და არ მინდა, მათ გული დავწყვიტო" — განაცხადა არგენტინელმა.

„ინტერი" მესამე ადგილზეა და ლიდერებს „იუვენტუსს" ექვსი ქულით ჩამორჩება. ვალტერის აზრით, ყველაფერი წინ არის:

„ყურადღება დეტალებს უნდა დავუთმოთ, მაგალითად, ტურნირში ორი შეცდომა დავუშვით, სხვათა შორის, ერთი ჩემი ბრალი იყო და 2:0 წავაგეთ. თუმც ყველაფერი წინ არის. სეზონი გრძელია და ვფიქრობ, ნელ-ნელა მოვუმატებთ. მიზანი კი ერთია — სკუდეტო".

ზურაბ გოცირიძე

ვიქტორ ობინია

ბუფონი: ოქროს ბურთი იბრას

ჯიჯი ბუფონს, როგორც ჩანს, უთანხმოებამ დალი დასცა და „უსაქმურობის" პერიოდში რჩევების მიცემაზეა გადასული. ჯერ იყო და დელ პიერო ნაკრებში აიყვანეთო, ახლა კი — „ოქროს ბურთი" იბრაჰიმოვიჩს ეკუთვნისო.

შვედი ერთ-ერთი იმ ცხრა ფეხბურთელთაგანია, რომლებიც წლეულს ამ პრიზზე „იუვეს" წარმოადგენენ.

„ჩემი აზრით, წლეულს ზლატანი საუკეთესოა ის ისე მალე შეეგუა იტალიის ჩემპიონატს, რომ გაოცებული ვარ. ეს ხომ ურთულესია, ვინ შეძლება მის კონკურენტად ჩავთვალო? რისაღიარო და ალბათ ლამპარდი" — თქვა ბუფონმა, რომელმაც მხარზე ოპერაცია გაიკეთა და ორი თვეა ვერ თამაშობს. „იუვეს" მეკარის არყოფნაში მისმა გუნდმა რვა სასტარტო შეხვედრა მოიგო, რითაც იგი აღფრთოვანებულია: „რვიდან რვა შეხვედრა მოვიგეთ და არა მგონია, ჩემი არყოფნა გუნდს დასტყობოდეს. ბიატემ შესანიშნავად შეცვალა. კვირას ისიც დიმტკვრა, მაგრამ კიბენტემ ღირსეულად ჩაბარა, ესტაფეტა. ჩვენს გუნდს მიზნის მიღწევაში ძნელად თუ რამე შეუშლის ხელს წესით, წლეულს ყველაფერი უნდა მოვიგოთ".

ბიატემ მუხლის ტრავმა მიიღო, მაგრამ დღეს უკვე მწყობრში იქნება.

ზურაბ გოცირიძე

ესპანეთი

ლადო ხომერიკი

მადრიდი ნორჩთა იმედზე

IX ტური

დღეს

ბარსელონა	:	ვალაგა
დეპორტივო	:	რეალი
ბეტისი	:	ვილიარეალი
ოსასუნა	:	ბილბაო
ვალიორკა	:	სელტა

ხვალ

ვალენსია	:	სევილია
სარაგოსა	:	რასინგი
სოსიედადი	:	ხეტაფე
ალავესი	:	ესპანიოლი
ატლეტიკო	:	კადისი

სადღეისო ვითარება

ხეტაფე	8	5	2	1	16:9	17
სელტა	8	5	1	2	11:8	16
რეალი	8	5	0	3	18:8	15
ვალენსია	8	4	3	1	14:11	15
ოსასუნა	8	5	0	3	9:8	15
ბარსელონა	8	3	4	1	17:10	13
სოსიედადი	8	4	1	3	12:14	13
ვილიარეალი	8	3	3	2	13:9	12
სევილია	8	3	3	2	7:5	12
კადისი	8	3	3	2	7:6	12
მალაგა	8	3	1	4	13:10	10
დეპორტივო	8	2	4	2	9:10	10
ატლეტიკო	8	3	1	4	7:9	10
ბეტისი	8	2	3	3	5:12	9
სარაგოსა	8	1	5	2	10:12	8
რასინგი	8	2	2	4	3:5	8
ესპანიოლი	8	2	1	5	5:10	7
ალავესი	8	1	3	4	7:13	6
ბილბაო	8	1	2	5	7:11	5
მალიორკა	8	1	2	5	7:17	5

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ვალენსიასთან“ წაგების შემდეგ მადრიდის „რეალს“ ახლა პრიმერას მეორე გრანდთან, გალისიურ „დეპორტივოსთან“ უწევს შერკინება. გალაქტიკოსები მტრულად განწყობილ „რიასორის“ არენას რონალდოს, ჟულიო ბაპტისტას, ზიდანისა და სავარაუდოდ მიჩელ სალგადოს გარეშე მიაკითხავენ. ამ დაშავებულთა გვარდიას წითელბარათოსან ბექემსა და გრავესენსაც თუ მივათვლით, ცხადი გახდება, რომ ვანდერლეი ლუშემბურგოს გუნდს ლა კორუნაიშა იოლი გასეირნება არ მოელის.

ესპანური პრესის ცნობით, ლუშემბურგო მოედანზე სათადარიგო მეომრებს, სოლდადოს, დე ლა რედს, ტებარს და ბალბოს გამოიყვანს. მადრიდელთა დღევანდელმა მეტოქე „დეპორმაც“ პრიმერადივიზიონის მერვე ტური გასვლაზე „სოსიედადთან“ წააგო. გალისიური არმადა ცხრილში მეთორმეტე ადგილზეა და „რეალთან“ ჯახში ტრავმირებულ ტაბორდას, ანდრადეს და ვიქტორს ვერ დაიხმარს. თუმც პაბლო ამომ და მომომ ტრავმები უკვე მიორჩინეს და „რიასორზე“ ბურთაობას შეძლებენ.

ფრან რაიკაარდის „ბარსელონა“ საკუთარ „კამპ ნოუზე“ ანდალუზიურ „მალაგას“ მასპინძლობს. კატალონიელებმა წინა ტურში „ოსასუნა“ გააკრეს ბეჭებზე და დღეს ჩემპიონატის ლიდერ „ხეტაფეს“ ოთხი ქულით ჩამორჩებიან. სამხრეთელ სტუმრებთან ომს დაშავებული დეკო და ბელეტი გამოტოვებენ. „მალაგამ“ გასულ ჯახში სერა ფერერის „ბეტისი“ 5:0 გაანადგურა. ანტონიო ტიპიას ბიჭები 10 ქულით ცხრილის შუაგულში არიან.

„ბარსელონასთან“ მოედანზე გამოსვლას წასაგებად არ ვაპირებთ. რაიკაარდს დიდებული გუნდი ჰყავს, თუმც ჩვენები ბოლომდე იბრძოლებენ“ — განაცხადა „მარკასთან“ საუბარში სტუმართა მწვრთნელმა.

„მალაგასთან“ დაკბენილი „ბეტისი“ ოთხშაბათს „ვილიარეალთან“ თამაშობს. სერა ფერერის გუნდის ლაზარეთი პირთამდეა გადაჭედილი. სევილიელები „ყვითლებთან“ ლუის ფერნანდესს, ფერნანდო ვარელას, ოსკარ ლოპესს, რივასსა და მიგელ ანხელს მოისაკლისებენ. თან „ბეტისის“ ვარსკვლავ ოლივეირასაც მხარი სტკივა და... ერთი სიტყვით, სერა ფერერის შეგირდებს მანუელ პელეგრინის ბიჭებთან ომი გაუჭირდებათ. „ვილიარეალმა“ მერვე ტურში „მალიორკას“ 3:0 მოუგო.

ხვალ კიკე სანჩეს ფლორესის „ვალენსია“ თავის „მესტალიაზე“ „სევილიას“ დაუხვდება. ადგილობრივებს სავარაუდოდ დაშავებულები — მიგელ ანხელ მისტა დავიდ ნავარო და ფრანსისკო რუფეტი — არ ეყოლებათ. მომხვდურთა არმადაში ივიცა დრაგუტინოვიჩს ვერ ვიხილავთ. „სევილიას“ მცველმა „ესპანიოლთან“ ტრავმა მიიღო. სამაგიეროდ, ჯანზეა თავდამსხმელი ლუიშ ფაბიანო და „მესტალიაზე“ ბურთაობაშიც ხელს არაფერი შეუშლის.

ვანდერლეი ლუშემბურგოს (მარცხნივ) ლაზარეთი ზინედინ ზიდანმაც შეავსო

ოთხშაბათს „ელ სადარზე“ ბასკური „ბილბაო“ იქაურ „ოსასუნას“ ჩააკითხავს. „კადისთან“ წინა შეხვედრაში ხოსება ეჩებერიამ მუხლი იტკინა და დღეს ნავარელებთან მისი თამაში ფრიად საეჭვოა. „ბილბაოში“ ეგებ ვერც ტრავმირებულები, ფერნანდო ლორენტე და ხულენ გერერო ვნახოთ.

ცხრილში მეშვიდადგილოსანი „სოსიედადი“ კი ლიგის სენსაციას, მადრიდულ „ხეტაფეს“ მასპინძლობს. „ანოეტაზე“ ორიგე გუნდი საომარი განწყობით იქნება — თუ „სოსიედადმა“ ბოლო თამაშში „დეპორი“ 2:0 დაჩოქა, დედაქალაქელებმა „სარაგოსას“ გამანადგურებელი ანგარიშით, 5:2 მოუგეს.



პაპონი არგენტინულმა ატლეტიკომ დააფრთხო



ესპანური „კადისის“ ნახევარმცველმა მატიას პავონიმ მადრიდის „ატლეიტკოსთან“ თამაშის წინ თანაგუნდელები გააფრთხილა, მეტოქე ძლიერია და მათთან ხუმრობა არ შეიძლებაო.

„ვისენტე კალდერზე“ „ატლეტიკოსთან“ ბურთაობა იგივეა, არგენტინაში „ლა ბონბონერაზე“ „ბოკა ხუნიორსს“ საომრად ჩააკითხო. მადრიდელთა გუნდში ახლა რამდენიმე არგენტინელი თამაშობს და მათთან შერკინება ძალიან ძნელი იქნება“ — განაცხადა მატიას პავონიმ „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ საუბარში.

პრიმერადივიზიონში წლეულს აღმოცენებულმა „კადისმა“ ესპანელთა პირველობას ჯერჯერობით ბოლო თამაშში „ბილბაო“ დაამარცხა და, შეწუხებულ არგენტინელ მატიას პავონის თუ არ ჩათვლით, ვიქტორ ესპარაგოს შეგირდები „ვისენტე კალდერონის“ ჯახს გულმოცემული ხვდებიან.

„დარწმუნებული ვარ, ისინი მოგების ჟინით იბურთავებენ, ჩვენ კი „ატლეტიკოს“ ვარსკვლავთა კაშკაშს გუნდური, კოლექტიური თამაშით უნდა ვუპასუხოთ“ — თქვა ესპარაგოს სამხრეთამერიკელმა მოწაფემ.

„მუნდო დეპორტივოსთან“ საუბრის დასასრულს კი პავონიმ 26 ოქტომბრის მატჩზე მაინც აღტაცებით ილაპარაკა: „ხანდახან სეგუნდადივიზიონში ჩატარებულ მატჩებს ვიხსენებ ხოლმე. წარმოიდგინეთ, „კადისს“, რომელიც „დიტერ ზაფრას“ და „მორალოს“ მსგავს ლილიპუტებთან ბურთაობდა, ძალების მოსინჯვა დღეს უკვე მადრიდის „ატლეტიკოს“ დარ გრანდებთან უწევს. ჩვენ ძალიან შორიდან მოვდივართ და პრიმერადივიზიონიდან უსახელოდ წასვლის უფლებაც არ გვაქვს...“

ლადო ხომერიკი



ხავიერ ფლანიო

ტურიენსო ალვარესი

ბასკებს ბასკი უმსაჯებს

„ვერაფრით გამიგია, ბილბაოს „ატლეტიკოს“ თამაშს ბისკაელი არბიტრი რატომ უნდა მსაჯობდეს. ტურიენსო ალვარესი „ელ სადარის“ ჯახში უფრო „ბილბაოს“ გულშემატკივარი იქნება, ვიდრე მატჩის არბიტრი. ამიტომაც სასურველი იყო ჩვენი და ბასკების მატჩი სხვა, უფრო ნეიტრალურ კაცს განესაჯა“ — თქვა ხავიერ ფლანიომ, ნავარული „ოსასუნას“ მარჯვენა მცველმა „მარკასთან“ ინტერვიუში.

ჩაუქი ფლანიო აი, რას შეუწუხებია: ესპანური პრიმერადივიზიონის მსაჯი ხავიერ ტურნიენსო ალვარესი წარმოშობით ბილბაოელი გახლავთ, თუმც ამჟამად პირინეელთა ჩემპიონატში კასტილია-ლეონის პროვინციის სახელით მოღვაწეობს.

დღეს ესპანეთში ერთმანეთს ხავიერ ფლანიოს „ოსასუნა“ და „ატლეტიკო“ შეერკინებიან, ფეხბურთის ფედერაციამ კი მატჩის არბიტრად სწორედ ბილბაოური ფესვების მქონე სპეციალისტი დაასახელა.

„არ მინდა, ვინმემ ინტრიგანობა დამბრალოს, თუმც ბასკების ერთმანეთთან ძმობას თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ მატჩი ერთობ „მხიარული“ გამოვა. კარგი იქნება, თუ სამომავლოდ ფედერაცია ასეთ წვრილმანებსაც გაითვალისწინებს“ — განაცხადა ნავარელმა ფეხბურთელმა.

ლადო ხომერიკი

რა არის ფეხბურთი? შევჩენკოს პასუხი

„მილანმა“ გასულ სეზონში ვერაფერი მოიგო, მაგრამ ანდრეი შევჩენკოსთვის ეს შემოდგომა მაინც „ბარაქიანი“ გამოდგა — უკრაინამ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. „მილანის“ ფორვარდი გუნდის ჯილაა და უმისოდ რომ უკრაინელებს უჭირთ ხოლმე, ეს ყაზახეთში, ბოლოწამს მოგებულ მატჩშიც გამოჩნდა. მაშ ასე, გთავაზობთ ნაკრების შევჩენკოსეულ შეფასებას.

ტაქტიკა

წინა შესარჩევ ეტაპებთან შედარებით, ამ ციკლში უფრო სტაბილურად ვითამაშეთ, შეცდომები აღარ გაგვიმეორებია. არ მიყვარს გუნდის რგოლებად დაყოფა, მე უფრო სხვაგვარად ვუყურებ ტაქტიკას. ცოტა გოლი გავუშვით, რადგან არა მარტო დაცვამ, არამედ ყველამ მოინდომა.

ფეხბურთი

რა არის ფეხბურთი? მატჩის განმავლობაში რამდენიმე კილომეტრს დარბიხარ, მაგრამ რომელიმე ეპიზოდში თუ დაიგვიანე და ერთიორი მეტრი დაგაკლდა, შეიძლება ამას შენს კარში გოლი მოჰყვეს. არადა ეპიზოდი ერთი შეხედვით არცთუ სახიფათო ჩანდა. იგივეა სატურნირო ცხრილშიც. ხორვატებთან, სლოვენიასთან და გერმანიასთან პლეი ოფებში თითო ნაბიჯი დაგვაკლდა, ერთხელ პირველი ადგილი იმიტომ დავკარგეთ, რომ სომხეთთან ქულები გავანიავეთ.

ნაპრები

ამ შესარჩევ ციკლში მეტოქეების სათანადოდ შეფასება ვისწავლეთ და არც ვინმესი გვეშინოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოწინააღმდეგე ძლიერი იყო თუ სუსტი, ჩვენ ჩვენსას ვაკეთებდით და არჩეული ტაქტიკიდან არ გადაგვიხვევია.

ამბობენ, თითქოს დაცვით ფეხბურთს ვთამაშობთ, მაგრამ მთლად ასე არაა. მე ვიტყოდი, რომ ეს უფრო რაციონალური ფეხბურთია. ყველა მატჩში, შინ თუ სტუმრად, მოგებას ვცდილობდით, უმეტესად კონტრშეტევებზე, რაც ყველაზე უკეთ გამოგვდიოდა. ასევე გავაგრძელებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბურთის გაკონტროლებას და კომბინაციურ თამაშსაც ვსწავლობთ. ფეხბურთი სამი-ოთხი ასპექტისგან კი არა, ათეულობით წვრილმანისგან შედგება და ყველაფერს ყურადღება სჭირდება.

იცით, რომელი მატჩის შემდეგ მივხვდი, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე ვავიდოდით? ალმათში ყაზახეთთან 93-ე წუთზე გატანილი გოლის მერე. იქ მე ტრავმის გამო არ მითამაშია, მაგრამ თანაგუნდელებისთვის მატჩამდე ნათქვამმა ჩემმა სიტყვებმა გაჭრა. შევახსენე, რომ ფეხბურთი ბოლო დასტვენამდე გრძელდება და უნდა გამოიყენო შანსი, რომელიც შეიძლება მაშინ მოგეცეს, როცა უკვე მატჩი დამთავრებული გგონია. სწორედ ასე მოხდა ყაზახეთშიც.

საჭირო რჩევა

ჩვენ გვაქვს ასეთი ტრადიცია — თამაშამდე გასახდელში ვსაუბრობთ და ერთმანეთს ვამხნევებთ. როგორც წესი, მთავარი სიტყვა მე მეკუთვნის, ისეც ხდება ხოლმე, რომ მატჩისას თანაგუნდელებს ვკარნახობ, მაგრამ თავს არაფერს ვაბვევ. არც ვმბრძანებლობ, ზოგჯერ თვითონ მეკითხებიან, ამა თუ იმ ეპიზოდში როგორ მოვიქცეო. ამ როლის შესრულება ჩემთვის არავის დაუვალებია, ცხოვრებამ მოიტანა. მივხვდი, რომ გუნდისთვის უფრო მეტის მიცემა შემიძლია, ვინმემ ეს შეიძლება პატრიოტიზმად მონათლოს და მართალიც იქნება, მაგრამ მეტწილად ამას ჩემთვის ვაკეთებ. ველარ დავუშვებდი იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი არ გამომეყენებინა. ვინ იცის, იქნებ ბოლო შანსიცაა.

მილანი

„მილანში“ ყველაფერი გაცილებით იოლია. იქ მხოლოდ საკუთარი თავი უნდა მოამზადო მატჩისთვის, თან „მილანში“ ფეხბურთელების საშუალო ასაკი უკრაინისაზე საგრძნობლად მაღალია. აღარაფერს ვამბობ კლასში სხვაობაზე.

ოლეგ ბლოხინი ხშირად მეკითხება, რა აზრის ვარ ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ რჩევას არასოდეს მთხოვს. მას ფეხბურთის თავისებური და გარკვეული ხედვა აქვს.

ზოგიერთის აზრით, უკრაინის ნაკრებს ამ შესარჩევ ციკლში გაუმართლა. ასეთ შეფასებას მშვიდად ვხვდები. იღბალი რაღაც დოზით აშკარად გვახლდა, ერთი-ორი მატჩის მოგებაშიც დაგვეხმარა, მაგრამ საბოლოოდ პირველი ადგილი ასეთ ჯგუფში იღბლის წყალობით არ მოდის.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი

რაც შეეხება „მილანს“, ვერც „სკუდეტო“ მოვიგეთ და ჩემპიონთა თასის ფინალშიც სასწაულად წავაგეთ. დაგროვილმა პრობლემებმა სეზონის ბოლოს იჩინა თავი. დაღლილობა დაგვეტყო. „იუვეს“ და „ლივერპულიც“ არ იყვნენ დასვენებულნი, მაგრამ ფსიქოლოგიურად გვაჯობეს. ყოველ შემთხვევაში, მაისში ასე იყო.

ბოლო წუთზე დუდეკმა ჩემი დარტყმული ბურთი როგორ მოიგერია, ახლაც ვერ ვხვდები, თუმც ხშირად აღარ ვიხსენებ იმ ეპიზოდს. ორ-სამჯერ განმეორებით ვნახე, რომ ამეხსნა, მაგრამ ამაოდ.

ვაჟა ხუციშვილი

ლოთარ მათეუსი ბუნდესლიგაში ასხენეს

ლოთარ მათეუსს ეგებ „ნიურნბერგი“ ჩააბარონ, თუ ბუნდესლიგური კლუბი ვოლფგან ვოლფის გათავისუფლებას გადაწყვეტს.

„ნიურნბერგი“ ცხრილში ბოლო ადგილზე დაეშვა მას შემდეგ, რაც გასულ ტურში შინ „ჰერთასთან“ 2:3 წაგო და ამას ვოლფის კრიტიკა მოჰყვა.

გერმანული მედიის ცნობით, უახლოეს ორ მატჩში (დრეზდენის „დინამოსთან“ თასზე და ჩემპიონატში „მაინცთან“) გუნდმა თამაში თუ არ გამოასწორა, ამჟამინდელ მწვრთნელს გაუშვებენ და ლოთარ მათეუსს მიიპატიჟებენ, რომელიც უნგრეთის ნაკრებს თავკაცობს.

„ნიურნბერგის“ პატრონთან არ მისაუბრია — განაცხადა მათეუსმა — მაგრამ მზად ვარ, ბუნდესლიგაში ჩემს დაბრუნებაზე ნებისმიერ დროს ველაპარაკო.“

მათეუსი კარიერის დასრულების შემდეგ ვენის „რაპიდში“ და ბელგრადის „პარტიზანში“ მუშაობდა, ახლა კი უნგრეთის მწვრთნელია.

ვაჟა ხუციშვილი

კაიზერმა გერმანია და ბრაზილია თქვა

ლეგენდარული ფრანც ბეკენბაუერი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებად ბრაზილიის ნაკრებსა და ტურნირის მასპინძელ გერმანიის ეროვნულ გუნდს მიიჩნევს.



„მუნდიალის შესაძლო გამარჯვებულებად უპირველეს ყოვლისა ბრაზილიელები უნდა დავასახელოთ. მათ ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ და წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ტიტულის დაცვასაც ყველანაირად ეცდებიან“ — განაცხადა კაიზერ ფრანცმა.

ალემანთა მითიურ კაცს, რა თქმა უნდა, მშობლიური ბუნდესნაკრებიც არ დავიწყებია — ოქროს მედლების მონადირება გერმანიასაც მშვენივრად შეუძლიაო, თქვა.

„ჩვენც ფავორიტები ვართ. ძლიერი ფეხბურთელები არ გვაკლია და ბოლოს და ბოლოს შინ ვითამაშებთ. გერმანიის ნაკრებმა თუ მოინდომა, მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხებას შეძლებს“ — ამაყად დასძინა ბეკენბაუერმა.

ლადო ხომერიკი

ძველი და ახალი რომა — ლაციო

იმის გამო, რომ „რომას“ მავანმა ფანმა კარგად დაუმიზნა და მსაჯს სახეში მონეტა მოარტყა, იტალიის საფეხბურთო ლიგამ „რომა“ 25 ათასი ევროთი დააჯარიმა. ეს ამბავი გასულ უქმეებზე რომაული დერბის 74-ე წუთზე მოხდა, როცა მსაჯმა ჯანლუკა პაპარესტამ „ლაციოს“ სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა. ტრიბუნებიდან პლასტმასის ბოთლებიც მიფრინავდა, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა არაა.

2004 წლის სექტემბერში ჩემპიონთა ლიგის მატჩში („რომა“ — „დინამო“ კიევი) შვედ არბიტრ ანდრეს ფრისკს მონეტამ შუბლი ისე გაუხეთქა, რომ სისხლი ნიაღვრად მისდიოდა. თამაში შეწყდა, იტალიელებს 0:3 წაგება ჩაუთვალეს და სტადიონს დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

უფრო ადრე, 2005-ის მარტის რომაულ დერბიში „რომას“ ფანები მოედანზე შეცვივდნენ და ფეხბურთელებს მოსთხოვეს, თამაში შეეწყვიტათ, მიზეზად პოლიციისგან „რომას“ ქომაგის მკვლელობა დაასახელეს. ის მატჩიც, ცხადია, ჩაიშალა.

ახლა აღმოჩნდა, რომ გუნდის პროკურატურა სერია **A**-ს შარშანდელი სეზონის რამდენიმე მატჩს იკვლევს. მათ შორის ეს ჩაშლილი დერბიცაა. პროკურატურას ხელთ აქვს ფეხბურთელების სატელეფონო საუბრების ჩანაწერი, რომლებიც ერთმანეთს შეხვედრის შედეგზე ურიგდებიან. გამოძიება გრძელდება და მტყუან-მართალი მალე გაირკვევა.

ვაჟა ხუციშვილი

არსენალის მექსიკელი მეთოფე

ლონდონის „არსენალი“ მექსიკის ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების ვარსკვლავ კარლოს ველას შეძენით დაინტერესდა. ველამ პერუში ახლახან ჩამთავრებულ ახალგაზრდულ მუნდიალზე ბრწყინვალედ იბურთავა და რა გასაკვირია, თუ „მეთოფეთა“ მწვრთნელი არსენ ვენგერი პატარა კარლიტოს „ჰაიბერის“ არენაზე მიყვანას მოინდომებს.

მექსიკური მედიაც უმალ ალაპარაკდა ინგლისელების გულუხვი შემოთავაზებების შესახებ. ოკეანისგაღმა ამტკიცებენ, რომ „არსენალი“ ახალი ფორვარდის მოსანადირებლად ჯიბეზე ხელის გაკვრას არ მოერიდება.

თავად კარლიტოს ნისლიანი ალბიონი კი არა, მექსიკასავით მზით გახურებული ესპანეთი ხიბლავს და პრემიერლიგაში ბურთაობის სურვილს დიდად არ ამჟღავნებს. ჩემს მომავალს მხოლოდ ესპანური პრემიერას რომელიმე გრანდს დავუკავშირებო, უთქვამს.

ლადო ხომერიკი

ევროპამ ფენომენი აგერო აღმოაჩინა

სერხიო აგეროზე „ნადირობის სეზონი“ გაიხსნა — არგენტინული „ინდეპენდიენტეს“ 17 წლის ფენომენის ხელში ჩასაგდებად დიდევროპულმა კლუბებმა გააჩაღეს ბრძოლა. პატაგონიური სპორტული მედიის ცნობით, ნორჩი ვარსკვლავისთვის ომში ერთმანეთს იტალიური გრანდები, მილანის „ინტერი“ და ტურინის „იუვენტუსი“ დაეჯახებიან.

„ინდეპენდიენტე“ „ინტერთან“ მოლაპარაკებას უკვე აწარმოებს და თუ საქმე წარმატებით დაგვირგვინდა, აგერო „სან სიროს“ არენას იანვრის სატრანსფერო ბაზრის დროს მიაკითხავს. თუმცა ხელწამოსაკრავი არც „იუვენტუსის“ ვარიანტია.

„ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ ამას წინათ „ინდეპენდიენტეს“ პრეზიდენტ კომპარადს განუცხადა, რომ ყმაწვილი სერხიოს შეძენა ძალიან სურს“ — ეწერა გუშინდელ „ლა ნასიონში“.

სენიორ ხულიო კომპარადა კი, სერხიო აგეროს კლუბის ხსენებული უფროსი, ჯერ თავისი მარგალიტის გაყიდვას არ ჩქარობს: „ვნახოთ, სატრანსფერო ბაზარზე მოვლენები როგორ განვითარდება. ყველ შემთხვევაში, სერხიოს 20 მილიონ დოლარზე ნაკლებად არც ერთ გუნდს არ მივცემთ“.

ადრე თითქოს აგეროს შეძენით ინგლისური „ჩელსიც“ იყო დაინტერესებული, თუმც კომპარადამ პრესასთან ლონდონელთა ამბავი უარყო — არავითარი მილიონიანი შემოთავაზება აბრამოვიჩისგან არ მოგვიღია.

ლადო ხომერიკი

სად არის კარვალიუ?

დანიელ კარვალიუ

ვალერი გაზაევმა „ფრანს ფუტბოლი“ გააკრიტიკა იმის გამო, რომ ცსკა-ს ბრაზილიელი პლეიმეიკერი დანიელ კარვალიუ „ოქროს ბურთის“ ნომინანტთა სიაში არ მოხვდა.

ფრანგულმა ჟურნალმა ორმოცდაათი საუკეთესოს სია ორშაბათს გამოაქვეყნა, რომელშიც ათი ბრაზილიელია, მაგრამ არ არის მოსკოვის არმიელთა საუკეთესო ფეხბურთელი. კარვალიუმ უეფას თასის ფინალში „სპორტინგის“ წინააღმდეგ (3:1) ფაქტობრივად სამივე გოლი შექმნა და გაჩნდა სერიოზული ალბათობა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზზე რუსული პრემიერლიგის მოთამაშის პირველად წარდგენისა, მაგრამ ასე არ მოხდა.

„ევროპაში ბრწყინვალე სეზონი გვქონდა. უეფას თასი მოვიგეთ და ამაში ლომის წილი კარვალიუს მიუძღვის. მე თუ მკითხავთ, ჩვენს გუნდში ექვსი-შვიდი ფეხბურთელი მაინც იმსახურებდა ორმოცდაათკაციან სიაში მოხვედრას. რომელი მათგანია კუპეზე („ლიონი“), პარკზე („მანჩესტერ იუნაიტედი“) ან კამორანეზიზე („იუვენტუსი“) ნაკლები? — ნაწყენია ვალერი გეორგიჩი.

ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ექვსი-შვიდი არა, მაგრამ კარვალიუ დასახელებულ ორმოცდაათეულში წესით კი უნდა მოხვედრილიყო. მას მართლაც ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა.

თავად ბრაზილიელი საკითხს ფილოსოფიურად უდგება:

„მე არ ვიცი, რა კრიტერიუმებით ირჩევენ ორმოცდაათ ფეხბურთელს, მაგრამ ახლავე შემიძლია რამდენიმე მოთამაშე დავასახელო, რომლებიც განაცხადში მოხვედრას სხვებზე მეტად იმსახურებდნენ. რაც შეეხება მე, ვფიქრობ, ინგლისში ან ვთქვათ საფრანგეთში რომ ვთამაშობდე, საქმე სხვაგვარად იქნებოდა“.

ზურაბ გოცირიძე

ოქროვანი ბიბლიოთეკა

მოკლე გვარი გრძელმა შეცვალა

იოზეფ ჰიკერსბერგერი

ვენის „რაპიდის“ მწვრთნელი იოზეფ ჰიკერსბერგერი იანვრიდან ავსტრიის ნაკრებს ჩაიბარებს. ეს ამბავი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ დაადასტურა.

ჰიკერსბერგერის კანდიდატურის დამტკიცებას გასულ კვირაში აპირებდნენ, მაგრამ „რაპიდის“ შეფმა რუდოლფ ედლინგერმა ქვეშევრდომის გაშვება 10 დეკემბრამდე არ ინება. მწვრთნელის კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის სანაცვლოდ ფედერაცია მზადაა, კლუბს საკომპენსაციო თანხა გადაუხადოს, ასე რომ 2006 წლის პირველი იანვრიდან ჰიკერსბერგერი ნაკრების თავკაცი გახდება.

„რაპიდი“ და ფეხბურთის ფედერაცია ორმხრივი შეთანხმებით კმაყოფილნი არიან. ეს ნაბიჯი ნაკრების საკეთილდღეოდ გადაიდგა, რადგან ჩვენ ევრო 2008-ს ვმასპინძლობთ“ — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

იოზეფ ჰიკერსბერგერმა ჰანს კრანკლი შეცვალა, რომელიც სექტემბერში გაათავისუფლეს.

ვაჟა ხუციშვილი

დნიპრო ოქროკაცს ჩააბარეს

ვადიმ ტიშჩენკო

დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ მწვრთნელი ევგენი კუჩერევსკი უმუშევარი დარჩა. მის ადგილს დროებით ვადიმ ტიშჩენკო დაიკავებს და 3 ნოემბერს „მიდლსბროსთან“ უეფას თასის მატჩში გუნდს უთავკაცებს. „დნიპრო“ ჩემპიონატში მე-14 ადგილზეა. ამას დაემატა „ალკმაართან“ საშინაო მარცხიც, რამაც მწვრთნელის შეცვლა გამოიწვია.

ევგენი კუჩერევსკის „დნიპროში“ პირველი მისვლა (1987) ტრიუმფით, ანუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობით (1988) დასრულდა.

„საიუზის“ დაშლის შემდეგ კუჩერევსკი მეორედ მივიდა გუნდში (2001). 2004-ში „დნიპრო“ ბრინჯაოს შესწვდა და ქვეყნის თასის ფინალშიც გავიდა.

რაც შეეხება ტიშჩენკოს, იგი სეულის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანია და კარგა ხანია, კლუბში მუშაობს. ვადიმ ტიშჩენკოს არ სურს „დნიპროს“ მთავარმწვრთნელობა, რომელიც უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდი გახდა. „დნიპროს“ პრესმდივანმა დმიტრი პელინმა განაცხადა, კუჩერევსკის წასვლა ფეხბურთელების განწყობაზე არ იმოქმედებს, „მიდლსბროსთან“ მატჩისთვის ჩვეულებრივ მოვემზადებითო.

ვაჟა ხუციშვილი

შირა საოპერაციოა

„ნიუკასლის“ თავდამსხმელ ალან შირერს თიაქრის ოპერაცია აქვს გასაკეთებელი. ოცდათხუთმეტი წლის ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს თურმე დიდი ხანია, ეს პრობლემა აწუხებს, მაგრამ მეტი გადადება აღარ შეიძლება.

გრემ სუნესს გადაუწყვეტია ოპერაცია ნოემბერში გაუკეთონ, როცა ნაკრებები თამაშობენ და შესაბამისად ეროვნულ ჩემპიონატებში პაუზებია.

მიუხედავად შირერის პრობლემისა, „გრიმსბისთან“ მატჩის განაცხადში ის მაინცაა შეყვანილი. მაიკლ ოვენს მცირე ტრავმა აწუხებს და, როგორც ჩანს, სუნესმა არჩია, ბებრის ჯანმრთელობა გარისკოს და არა ახალგაზრდისა.

ზურაბ გოცირიძე

სარბიელი: კრიზისი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		29 ოქტომბერი						
15:45	1	ვოგანი-ფულჰემი	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
16:00	2	ტოტენჰემი-არსენალი	2.80	3.10	2.40	1.47	1.29	1.35
18:00	3	ბირმინგემი-ეფერტონი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
18:00	4	ნარლეტონი-ბოლტონი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
18:00	5	წულხი-ბლეკბერნი	1.20	5.50	12.00	1.00	1.09	3.77
18:00	6	წულხი-ბლეკბერნი 0:1	1.45	5.00	4.00			
18:00	7	ლივერპული-ვესტ ჰემი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
18:00	8	სანდერლენდი-პორტსმუთი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
20:15	9	მიდლსბრო-მანჩესტერი	4.50	3.30	1.75	1.90	1.25	1.14
		30 ოქტომბერი						
19:00	11	ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი	2.80	3.10	2.40	1.47	1.29	1.35
		31 ოქტომბერი						
23:00	12	სიტი-ასტონ ვილა	1.80	3.20	4.40	1.15	1.27	1.85
		ინგლისი. I ლიგა						
		26 ოქტომბერი						
22:30	27	წესტერფილდი-ბრისტოლი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		26 ოქტომბერი						
22:45	65	სელტიკი-მიზერველი	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
22:45	66	სელტიკი-მიზერველი 0:1	1.45	4.80	4.00			
22:45	67	დანფერმლაინი-ჰიბერნიანი	3.40	3.30	1.90	1.67	1.21	1.20
22:45	68	ჰარტი-კილმარნოკი	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
22:45	69	ინვერნესი-ფოლკირკი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
22:45	70	ლივინგსტონი-რეინჯერსი	10.00	5.50	1.20	3.54	1.07	1.00
22:45	71	ლივინგსტონი-რეინჯერსი 1:0	4.00	4.60	1.45			
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		26 ოქტომბერი						
22:45	81	დანდი-კლაიდი	1.70	3.60	4.00	1.15	1.19	1.89
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		29 ოქტომბერი						
17:30	106	დორტმუნდი-მიონხენგლადბახი	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75
17:30	107	ლეისბურგი-ვოლფსბურგი	2.65	3.20	2.45	1.44	1.27	1.38
17:30	108	ჰამბურგი-შალკე	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
17:30	109	კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
17:30	110	კიოლნი-ბაიერნი	5.50	3.90	1.50	2.28	1.17	1.08
17:30	112	შტუტგარტი-ჰერტა	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
17:30	113	ფრაიბერგი-აინტრახტი	1.40	4.10	7.50	1.04	1.17	2.65
		30 ოქტომბერი						
19:30	115	არმინია-ჰანოვერი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
19:30	116	მაინცი-ნიურნბერგი	2.05	3.20	3.35	1.24	1.27	1.63
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		28 ოქტომბერი						
21:00	117	ალენი-ზაარბრიუკენი	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
21:00	118	ბოხუმი-პადერბორნი	1.60	3.70	4.60	1.11	1.18	2.05
21:00	119	ბრაუნშვაიგი-ზიგენი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
		30 ოქტომბერი						
17:00	120	ფრაიბურგი-კოტბუსი	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
17:00	121	ფიურთი-კარლსრუე	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
17:00	122	ჰანსა-უნტერჰახინგი	1.60	3.70	4.60	1.11	1.18	2.05
17:00	123	ოფენბახი-ბურგჰაუზენი	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
		31 ოქტომბერი						
22:15	124	მიუნხენი 1860-ალემანია	1.65	3.40	4.40	1.11	1.20	1.91
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		26 ოქტომბერი						
21:30	143	ადმირა-პაშინგი	2.85	3.20	2.25	1.50	1.25	1.32
21:30	145	რიდი-მატერსბურგი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
21:30	146	შტურმი-აუსტრია	2.70	3.20	2.40	1.46	1.27	1.37
21:30	147	ტიროლი-ზალცბურგი	3.80	3.20	1.90	1.73	1.26	1.19
		ავსტრია. I დივიზიონი						
		28 ოქტომბერი						
21:00	153	ალტახი-აუსტრია(ლ)	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
21:00	154	აუსტრია(ვ)-ლინცერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
21:00	155	კაფენბერგი-გრაზკორნი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
21:00	156	გუფენაინი-კერნტენი	3.60	3.20	1.85	1.69	1.22	1.17
21:00	157	შვანენშტადტი-ლეობენი	1.80	3.20	3.90	1.15	1.23	1.75
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		29 ოქტომბერი						
21:30	158	ბაზელი-იენერდონი	1.25	5.50	9.00	1.01	1.09	3.41
21:30	159	ბაზელი-იენერდონი 0:1	1.45	4.80	4.00			
21:30	160	სტ.გალენი-შაფჰაუზენი	1.55	3.60	5.70	1.08	1.21	2.20
21:30	161	თუნი-ციურიხი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
		30 ოქტომბერი						
16:30	162	ქსამაქსი-აარაუ	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
18:15	163	გრასჰოპერი-იანგ. ბოიზი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია A						
		26 ოქტომბერი						
22:30	173	ასკოლი-უდინეზე	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28
22:30	174	კალიარი-ლივორნო	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
22:30	175	ემპოლი-მილანი	6.50	3.40	1.55	2.23	1.25	1.06
22:30	176	ემპოლი-მილანი 1:0	2.50	3.20	2.30			
22:30	177	ინტერი-რომა	1.60	3.40	5.80	1.08	1.25	2.14
22:30	178	იუვენტუსი-სამპდორია	1.40	3.70	8.00	1.01	1.19	2.52
22:30	179	იუვენტუსი-სამპდორია 0:1	1.95	3.40	3.00			
22:30	180	ლაციო-კიეტი	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
22:30	181	პალერმო-ლეჩე	1.60	3.30	5.60	1.07	1.24	2.07
22:30	182	პარმა-მესინა	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
22:30	183	რეჯინა-ტრიესტინა	1.80	3.10	4.70	1.13	1.30	1.86
22:30	184	სიენა-ფიორენტინა	2.90	3.10	2.35	1.49	1.29	1.33
		იტალია. სერია B						
		26 ოქტომბერი						
22:30	205	მანტოვა-ტორინო	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
22:30	206	ჰელკარა-რიმინი	2.15	2.90	3.20	1.23	1.28	1.52
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		26 ოქტომბერი						
22:30	221	ბარსელონა-მალაგა	1.25	5.30	9.50	1.01	1.10	3.40
22:30	222	ბარსელონა-მალაგა 0:1	1.60	3.90	3.60			
22:00	223	ბეტისი-ვილიარეალი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
23:45	224	დეპორტივო-რეალი	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
22:00	225	მალიორკა-სელტა	2.55	3.30	2.55	1.43	1.27	1.43
22:00	226	ოსასუნა-ბილბაო	1.90	3.40	3.70	1.21	1.25	1.77
		27 ოქტომბერი						
22:00	219	ალავესი-ესპანიოლი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
22:00	220	ატლეტიკო-კადისი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
22:00	228	სევილია-სეტაფეკ	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
23:00	229	ვალენსია-სევილია	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
22:00	230	სარაგოსა-რასინგი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		29 ოქტომბერი						
19:15	252	მარსელი-ლილი	2.00	3.00	3.80	1.20	1.31	1.67
22:00	253	ბორდო-ტრუა	1.55	3.30	6.50	1.05	1.25	2.18
22:00	255	ლანსი-ტულუზი	1.90	2.90	4.30	1.14	1.31	1.73
22:00	256	ლიონი-ხიმი	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
22:00	258	მონაკო-აიაჩო	1.60	3.30	5.80	1.07	1.25	2.10
22:00	259	ნანტი-ლე მანი	2.10	2.90	3.65	1.21	1.33	1.61
22:00	260	რენი-მეცი	1.55	3.40	6.50	1.06	1.25	2.23
22:00	261	სტრასბერი-სტ.ეტიენი	2.60	2.80	2.80	1.34	1.34	1.39
22:00	262	ნანსი-ნიცა	2.20	2.90	3.40	1.25	1.33	1.56
22:00	263	ოსერი-პსჟ	2.35	2.90	3.10	1.29	1.33	1.49
		ბელგია. I დივიზიონი						
		28 ოქტომბერი						
22:30	276	ლოკერენი-ანდერლეხტი	4.00	3.50	1.80	1.86	1.24	1.18
		29 ოქტომბერი						
22:00	277	ბეგერენი-ვარეგემი	2.30	3.30	2.75	1.35	1.25	1.50
23:00	278	ბრიუგე-გენტი	1.45	3.80	6.40	1.04	1.18	2.38
22:00	279	შარლეროა-ვესტერლო	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
21:00	280	ბრიუსელი-გენკი	2.55	3.30	2.40	1.43	1.23	1.38
22:00	281	ლიერსი-ჰერკლი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
23:00	282	სტ.ტრუიდენი-ლუვენი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
		30 ოქტომბერი						
20:00	283	ჰესერონი-სტანდარდი	4.40	3.50	1.70	1.94	1.22	1.14
22:00	285	რუსელარე-ბეერსხოტი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		28 ოქტომბერი						
22:30	295	აიაქსი-ჰერენვენი	1.40	4.00	7.30	1.03	1.17	2.58
		29 ოქტომბერი						
21:30	297	დენ ჰაგი-ალკმაარი	3.85	3.50	1.80	1.83	1.22	1.18
22:00	298	ვალვაიკი-ბრედა	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
22:00	299	ტვენტე-პსვ	4.30	3.40	1.75	1.89	1.24	1.15
22:00	301	ვიტესი-ჰერაკლესი	1.50	3.80	5.70	1.07	1.18	2.27
		30 ოქტომბერი						
16:30	302	გრონინგენი-როდა	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
16:30	303	ნაიმეგენი-სპარტა	1.80	3.50	4.00	1.18	1.24	1.86
16:30	304	უტრეხტი-როზენდალი	1.45	3.80	6.70	1.04	1.19	2.42
16:30	305	ტილბურგი-ფეიენოორდი	4.10	3.50	1.75	1.88	1.22	1.16
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		29 ოქტომბერი						
23:45	324	ნავალი-ბენფიკა	4.20	3.50	1.75	1.90	1.23	1.16
22:00	326	პორტუ-სეტუბალი	1.30	5.00	8.00	1.03	1.11	3.07
		30 ოქტომბერი						
19:00	318	აროუკა-ნასიონალი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	320	ბრაგა-ბელენენსესი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
21:00	322	გიმარაეში-ყვრეირა	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
19:00	323	ლეირია-ჟილ ვიცენტე	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
19:00	325	ჰენაფიელი-ავალე

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15173	ასკოლი-უდინეზე	3.00	2.80	2.00
15174	კალიარი-ლივორნო	3.00	2.80	2.00
15175	ემპოლი-მილანი	3.00	2.80	2.00
15177	ინტერი-რომა	3.00	2.80	2.00
15178	იუვენტუსი-სამპდორია	3.00	2.80	2.00
15180	ლაციო-კიევო	3.00	2.80	2.00
15181	პალერმო-ლეჩე	3.00	2.80	2.00
15182	პარმა-მესინა	3.00	2.80	2.00
15183	რეჯინა-ტრევიზო	3.00	2.80	2.00
15184	სიენა-ფიორენტინა	3.00	2.80	2.00
15219	ალავესი-ესპანიოლი	3.00	2.80	2.00
15220	ატლეტიკო-კადისი	3.00	2.80	2.00
15221	ბარსელონა-მალაგა	3.00	2.80	2.00
15223	ბეტისი-ვილიარეალი	3.00	2.80	2.00
15224	დეპორტივო-რეალი	3.00	2.80	2.00
15225	მალიორკა-სელტა	3.00	2.80	2.00
15226	ოსასუნა-ბილბაო	3.00	2.80	2.00
15228	სოსიედადი-ხეტაფე	3.00	2.80	2.00
15229	ვალენსია-სევილია	3.00	2.80	2.00
15230	სარაგოსა-რასინგი	3.00	2.80	2.00

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11173	ასკოლი-უდინეზე	4.50	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	10.00	3.50
11174	კალიარი-ლივორნო	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.50	20.00	10.00	4.50
11175	ემპოლი-მილანი	9.00	10.00	20.00	8.00	5.00	3.50	30.00	12.00	2.10
11177	ინტერი-რომა	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11178	იუვენტუსი-სამპდორია	1.75	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11180	ლაციო-კიევო	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11181	პალერმო-ლეჩე	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11182	პარმა-მესინა	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.50
11183	რეჯინა-ტრევიზო	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11184	სიენა-ფიორენტინა	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11219	ალავესი-ესპანიოლი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11220	ატლეტიკო-კადისი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11221	ბარსელონა-მალაგა	1.50	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11223	ბეტისი-ვილიარეალი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11224	დეპორტივო-რეალი	4.80	10.00	20.00	5.50	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11225	მალიორკა-სელტა	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11226	ოსასუნა-ბილბაო	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11228	სოსიედადი-ხეტაფე	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11229	ვალენსია-სევილია	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11230	სარაგოსა-რასინგი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.50

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10173	ასკოლი-უდინეზე	3.70	2.00	2.55	1.29	1.50	1.12
10174	კალიარი-ლივორნო	2.60	2.00	3.60	1.13	1.50	1.28
10175	ემპოლი-მილანი	5.30	2.20	1.80	1.55	1.34	1.00
10177	ინტერი-რომა	1.80	2.20	5.30	1.00	1.34	1.55
10178	იუვენტუსი-სამპდორია	1.60	2.50	6.20	1.00	1.27	1.78
10180	ლაციო-კიევო	2.30	2.00	4.20	1.06	1.48	1.35
10181	პალერმო-ლეჩე	1.80	2.20	5.30	1.00	1.34	1.55
10182	პარმა-მესინა	2.30	2.00	4.20	1.06	1.48	1.35
10183	რეჯინა-ტრევიზო	2.10	2.00	4.60	1.02	1.44	1.39
10184	სიენა-ფიორენტინა	3.40	2.00	2.70	1.25	1.50	1.14
10219	ალავესი-ესპანიოლი	2.75	2.00	3.30	1.15	1.50	1.24
10220	ატლეტიკო-კადისი	2.05	2.00	4.80	1.01	1.43	1.41
10221	ბარსელონა-მალაგა	1.45	2.60	7.30	1.00	1.20	1.91
10223	ბეტისი-ვილიარეალი	2.60	2.00	3.65	1.13	1.51	1.29
10224	დეპორტივო-რეალი	3.70	2.00	2.55	1.29	1.50	1.12
10225	მალიორკა-სელტა	3.20	2.00	2.85	1.23	1.50	1.17
10226	ოსასუნა-ბილბაო	2.15	2.00	4.50	1.03	1.45	1.38
10228	სოსიედადი-ხეტაფე	2.50	2.00	3.80	1.11	1.50	1.31
10229	ვალენსია-სევილია	2.10	2.00	4.80	1.02	1.46	1.41
10230	სარაგოსა-რასინგი	2.25	2.00	4.30	1.05	1.47	1.36

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი	არა
12173	ასკოლი-უდინეზე	1.70	1.90
12174	კალიარი-ლივორნო	1.70	1.90
12175	ემპოლი-მილანი	1.70	1.90
12177	ინტერი-რომა	1.90	1.70
12178	იუვენტუსი-სამპდორია	1.70	1.90
12180	ლაციო-კიევო	1.70	1.90
12181	პალერმო-ლეჩე	1.90	1.70
12182	პარმა-მესინა	1.60	2.00
12183	რეჯინა-ტრევიზო	1.60	2.00
12184	სიენა-ფიორენტინა	1.90	1.70
12219	ალავესი-ესპანიოლი	1.70	1.90
12220	ატლეტიკო-კადისი	1.60	2.00
12221	ბარსელონა-მალაგა	2.00	1.60
12223	ბეტისი-ვილიარეალი	1.70	1.90
12224	დეპორტივო-რეალი	1.70	1.90
12225	მალიორკა-სელტა	1.70	1.90
12226	ოსასუნა-ბილბაო	1.70	1.90
12228	სოსიედადი-ხეტაფე	1.70	1.90
12229	ვალენსია-სევილია	1.70	1.90
12230	სარაგოსა-რასინგი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13173	ასკოლი-უდინეზე	1.70	1.90
13174	კალიარი-ლივორნო	1.70	1.90
13175	ემპოლი-მილანი	1.90	1.70
13177	ინტერი-რომა	1.60	2.00
13178	იუვენტუსი-სამპდორია	1.90	1.70
13180	ლაციო-კიევო	1.70	1.90
13181	პალერმო-ლეჩე	1.70	1.90
13182	პარმა-მესინა	1.70	1.90
13183	რეჯინა-ტრევიზო	1.70	1.90
13184	სიენა-ფიორენტინა	1.70	1.90
13219	ალავესი-ესპანიოლი	1.70	1.90
13220	ატლეტიკო-კადისი	1.70	1.90
13221	ბარსელონა-მალაგა	1.90	1.70
13223	ბეტისი-ვილიარეალი	1.70	1.90
13224	დეპორტივო-რეალი	1.70	1.90
13225	მალიორკა-სელტა	1.70	1.90
13226	ოსასუნა-ბილბაო	1.70	1.90
13228	სოსიედადი-ხეტაფე	1.70	1.90
13229	ვალენსია-სევილია	1.70	1.90
13230	სარაგოსა-რასინგი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ითვლება)

14173	ასკოლი-უდინეზე	2.00	1.80
14174	კალიარი-ლივორნო	1.80	2.00
14175	ემპოლი-მილანი	2.50	1.30
14177	ინტერი-რომა	1.40	2.40
14178	იუვენტუსი-სამპდორია	1.20	2.60
14180	ლაციო-კიევო	1.65	2.30
14181	პალერმო-ლეჩე	1.30	2.50
14182	პარმა-მესინა	1.70	2.20
14183	რეჯინა-ტრევიზო	1.60	2.30
14184	სიენა-ფიორენტინა	2.10	1.80
14219	ალავესი-ესპანიოლი	1.85	1.95
14220	ატლეტიკო-კადისი	1.45	2.40
14221	ბარსელონა-მალაგა	1.06	2.90
14223	ბეტისი-ვილიარეალი	1.80	2.00
14224	დეპორტივო-რეალი	2.00	1.80
14225	მალიორკა-სელტა	1.90	1.90
14226	ოსასუნა-ბილბაო	1.70	2.10
14228	სოსიედადი-ხეტაფე	1.80	2.00
14229	ვალენსია-სევილია	1.45	2.40
14230	სარაგოსა-რასინგი	1.60	2.30

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16173	ასკოლი-უდინეზე	2.10	1.50
16174	კალიარი-ლივორნო	1.55	2.00
16175	ემპოლი-მილანი	3.40	1.20
16177	ინტერი-რომა	1.20	3.40
16178	იუვენტუსი-სამპდორია	1.10	4.80
16180	ლაციო-კიევო	1.40	2.40
16181	პალერმო-ლეჩე	1.20	3.40
16182	პარმა-მესინა	1.35	2.50
16183	რეჯინა-ტრევიზო	1.30	2.80
16184	სიენა-ფიორენტინა	1.90	1.60
16219	ალავესი-ესპანიოლი	1.60	1.90
16220	ატლეტიკო-კადისი	1.25	2.90
16221	ბარსელონა-მალაგა	1.05	5.80
16223	ბეტისი-ვილიარეალი	1.55	2.10
16224	დეპორტივო-რეალი	1.90	1.60
16225	მალიორკა-სელტა	1.80	1.65
16226	ოსასუნა-ბილბაო	1.35	2.10
16228	სოსიედადი-ხეტაფე	1.50	2.20
16229	ვალენსია-სევილია	1.25	2.90
16230	სარაგოსა-რასინგი	1.35	2.60



ზაზა ფაჩულიას 34 წუთი, 13 ქულა და 11 მოხსნა

მორიგი წინასასეზონო შეხვედრა ჩაატარა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოუქზმა“, მისი მეტოქე ამჟამად სპეციალისტების მიერ ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრეს კანდიდატად და აღმოსავლეთ კონფერენციის მთავარ ფავორიტად მიჩნეული „მაიამი ჰიტი“ იყო.

„ატლანტამ“ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ფავორიტს, მთელი ბოლო მეოთხედის განმავლობაში იგებდა და მხოლოდ ბოლო წამებზე წააგო, როცა გამოცდილმა გერი პეიტონმა თავისი ორქულიანით ფლორიდელებს გამარჯვება მოუტანა — 84:83.

მეტად სოლიდურად გამოიყურებოდა ზაზა ფაჩულია. მან „ატლანტას“ რიგებში უკვე მეორე ორმაგი დუბლი გააზერხა — 13 ქულა, 11 მოხსნა. ზაზა განსაკუთრებით კარგად თამაშის მეორე ნახევარში გამოიყურებოდა და ქულების უმეტესობაც (9) მაშინ დააგროვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფაჩულიას კარგი თამაში ფარზე. მართალია, მეტოქეს ტრავმის გამო შაკილ ონილი აკლდა, მაგრამ „მაიამის“ უიმისოდაც ძლიერი მეფარეები ჰყავს — ალონზო მიურნინგი, ანტუან უოლკერი და ადონის ჰასლემი. ასეთ კომპანიაში აღებული 11 მოხსნა კი, რომელთაგან 4 შეტევაში გააზერხა, განსაკუთრებით დასაფასებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზაზამ მოედანზე 34 წუთი დაჰყო. მასზე მეტი მხოლოდ ჯოშ ჩილდრესმა ითამაშა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ფაჩულია გუნდში ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ითვლება და „ატლანტას“ სათამაშო სქემებში სულ უფრო მყარად ჯდება.

„ატლანტას“ შემადგენლობაში ფაჩულიასთან ერთად მშვენივრად გაისარჯნენ ელ ჰარინგტონი და დონტა სმიტი, რომლებმაც 19-19 ქულა დააგროვეს.

„მაიამის“ მოთამაშეთა შორის ყველაზე შედეგიანები დუენ უეიდი და ანტუან უოლკერი იყვნენ.

ძახა ლომაშვილი

ცინცაძე და ცსკა გაიყარნენ

დინამო: საევროპო ტრა[illegible]

ბევრისთვის პარადოქსია: გიორგი ცინცაძე — საქართველოს ჩემპიონატში. ეს ახალგაზრდა კალათბურთელი ორი წლის წინათ წავიდა მოსკოვის ცსკა-ში და ძალიან ნიჭიერს დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ და ამიტომაცაა უცნაური მისი კვლავ საქართველოში დაბრუნება.

ცინცაძე თბილისის „დინამოში“ მოეწყო და ამ გუნდს გუშინწინ მოქმედი ჩემპიონი სტუ დაამარცხებინა, თუმც გუშინ რომ შევეხმიანეთ, მან თითქმის გამორიცხა საქართველოში დარჩენა, „დინამოში“ დროებით ვარ, სანამ ჩემი მენეჯერი შესაფერის გუნდს გამომინახავსო...



— უვარჯიშებელი ყოფნა არ მინდოდა, სანამ ახალ კლუბს გამომიძებნიან, იქნებ რამდენიმე კვირა გავიდეს და ფორმის დაკარგვის მეშინია — გვითხრა ცინცაძემ — „დინამოში“ კარგი პირობებია, ყველანაირად ვემზადები და როცა უცხოეთში წავალ, არ გამიჭირდება.

— უცხოეთში აუცილებლად მიდიხარ, საქართველოში დარჩენა გამორიცხულია?

— შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს, მაგრამ ამ ეტაპზე საზღვარგარეთ წასვლა მყარად მაქვს გადაწყვეტილი.

— გუნდის მოძიებაში ალბათ მოსკოვის ცსკა გეხმარება...

— არა, ცსკა-სთან ყველანაირი ურთიერთობა გავწყვიტე.

— რატომ?

— თავად მოსკოველებმა ისურვეს ასე. ცსკა-სთან ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ კლუბმა ხელშეკრულება გამიწყვიტა.

— შენ არ შეგეკითხნენ, ისე გააკეთეს ეს?

— თავად კონტრაქტში წერია, თუ რა მოხდება მისი გაწყვეტის შემთხვევაში. ცსკა-მ ამისთვის ხელშეკრულებაში თავიდანვე ფიქსირებული თანხა გადამიხადა და ყველაფერი ამით დამთავრდა.

— რით იყო ცსკა უკმაყოფილო, რატომ გაგიწყვიტა კონტრაქტი?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ სხვა გუნდში სარფიანად ვერ გამყიდა. ამ ზაფხულს რამდენიმე ძლიერ ევროპულ გუნდს სურდა ჩემი აყვანა, მაგრამ ცსკა-მ ძვირი მოითხოვა და ყველა დააფრთხო.

— ახლა რას აპირებ, შენს უცხოურ ტრანსფერზე ვინ მუშაობს?

— ჩემი მენეჯერი რიდ სალივანი. ალბათ ათ დღეში უკვე მეცოდინება იმ გუნდის ვინაობა, რომელიც ჩემი აყვანით დაინტერესდება.

— აქამდე არ გქონია შემოთავაზება?

— არა, აქამდე სერიოზული ვარიანტი არ გამომჩენია. მხოლოდ სხვა სააგენტოებმა შემომთავაზეს მათთან გადასვლა და კარგი გუნდში მოწყობასაც დამპირდნენ. ახლა „ინტერსპორტის“ კლიენტი ვარ, რომელსაც ევროპაში ცნობილი აგენტი რიდ სალივანი ხელმძღვანელობს და სხვა სააგენტოში გადასვლაზე უარი ვთქვი.

— თავად შენ სად ისურვებდი თამაშს?

— ესპანეთის, იტალიის, ან გერმანიის რომელიმე კლუბში.

— საშუალედო გუნდად რატომ აირჩიე მაინცდამაინც „დინამო“? სხვა ქართულ გუნდებში თამაში არ გინდოდა?

— არ ვიცი, რომ ჩამოვედი, „დინამოში“ მივედი რატომღაც. ამ გუნდს კარგი ბაზა აქვს და მას დავით უსტიაშვილი წვრთნის, რომელსაც ახალგაზრდული ნაკრებიდან ვიცნობ.

— საქართველოს ჩემპიონატში უკვე ჩაატარე ერთი მატჩი და არცთუ ურიგოდ...

— სტუ-ს კი მოვუგეთ, მაგრამ ჩემი თამაშით მთლად კმაყოფილი არ ვარ. ძალიან მიჭირდა ვერის ბაღის დარბაზის იატაკზე მოძრაობა. ფეხი ძალიან სრიალებს და მანევრების გაკეთება ძნელია. თავად „დინამო“ კარგი გუნდია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ უმეტესად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. სანამ წავალ, ვეცდები, სხვა ძლიერი გუნდებიც გავამწაროთ.

ირაკლი პერტაია

IX ტური. 24 ოქტომბერი
ყოჩები 21:20 აკადემია
ლოკომოტივი 37:8 ლელო

მაგთიკომი MAGTICOM

მაგთიკომის პირველობა

ყოჩებმა პირველად იყოჩაღეს

მაგთიკომის პირველობის გუშინდელ ტურში ვარკეთილის მეურნეობისა და „ლოკომოტივის“ სავარჯიშო მინდვრებზე ორი მატჩი გაიმართა. პირველში „ყოჩები“ „აკადემიას“ შეხვდნენ, მეორეში კი — ჩემპიონატის ლიდერი „ლოკომოტივი“ მესამეადგილოსან „ლელოს“.

„ლოკომოტივი“ — „ლელოს“ მატჩი მოლოდინისამებრ „რკინიგზელთა“ გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ლელოელთაგან უფრო დიდ წინააღმდეგობას ველოდით. ჯერ ერთი, ეაკელებს პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდათ და მეორეც, ექვსი ლოკომოტიველი ახლახანს დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც რუს კოლეგებს ცამეტკაცურად ერკინებოდნენ ნაკრების შემადგენლობაში. ყოველივე ამის მიუხედავად, „ლელომ“ 8:37 წააგო და სავარაუდოდ პლეი ოფში მეორე ადგილიდან გასვლის შანსი დაკარგა

„ყოჩებსა“ და „აკადემიკოსებს“ შორის კი მართლაც დაძაბული მატჩი გაიმართა, რომელშიც „ყოჩებმა“ ერთქულიანი სხვაობით 21:20 მოიგეს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდთა დაპირისპირება პირველ წრეში ფრედ, 20:20 დასრულდა და ეს ჯერჯერობით ერთადერთი ფრეა წლევანდელ გათამაშებაში. ასევე ამ ფრის წყალობით ჰქონდა ერთადერთი ქულა გუშინდელ მატჩამდე „ყოჩებს“, ახლა კი ამ ქულას კიდევ 2 მიემატა და 3 გამოვიდა, რითაც „აკადემიას“ გაუტოლდა. „აკადემიკოსებს“ ბურთების შეფარდება კი უკეთესი აქვთ, მაგრამ რაგბის კავშირი პირველ რიგში ურთიერთშეხვედრებს აქცევს ყურადღებას და ამიტომ ჩვენს მიერ უიმედო აუტსაიდერად მონათლულმა „ყოჩებმა“ მეხუთედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს და პლეი ოფში მოხვედრის შანსი გაუჩნდათ.

თუმცა ერთიც უნდა შევნიშნოთ — „აკადემიას“ ნაკლები თამაში აქვს ჩატარებული.

თავად მატჩს რაც შეეხება, ორივე ტაიმი თანაბარ და დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. მეტოქეები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. უხეშობაც მრავლად იყო და კარგი რაგბიც.

გამორჩეული გახლდათ „ყოჩების“ პირველი ლელო. მალაღურაძე ჩათვლის მოედანში შეღწევისას კარის ძელს დაეჯახა, რის შედეგადაც ზუდა ძელი ჩამოვარდა და კინაღამ თავში დაეცა. საბედნიეროდ, მალაღურაძემ გადახტომა მოასწრო და აშკარა ხიფათს გადაურჩა.

ლადო ჭულუკიძე

1 ლოკომოტივი	8	8	0	0	236:62	16
2 ხულიგანა	6	3	0	3	109:128	6
3 ლელო	7	3	0	4	130:165	6
4 ყოჩები	7	1	1	5	65:165	3
5 აკადემია	6	1	1	4	92:130	3

ინტრიგა თანაბარძალოვნებშია

გუშინ დაიწყო ATP და WTA-ს რანგის რამდენიმე ტურნირი. მადრიდის მასტერსის შემდეგ ზოგიერთმა ჩოგბურთელმა დასვენება გადაწყვიტა. კვლავ ტრავმები აწუხებთ როჯერ ფედერერსა და მარატ საფინს, თუმცა ტურნირები საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს, რადგან თანაბარძალოვანი შემადგენლობა მეტ ინტრიგას სძენს მათ. რაც შეეხება ქალებს, ტოპ-მეჩოგნეებიდან ამ კვირაში მხოლოდ ისინი იასპარეზებენ, რომელთაც ქულათა მოგროვება სჭირდებათ, რათა წლის ბოლოს ლოს ანჯელესში გასამართ მასტერსის თასის გათამაშებაში მიიღონ მონაწილეობა

მარიო ანჩიჩი

ATP. ლიონი. საფრანგეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 659 ათასი €

პირველი წრე

გასტონ გაუდიო (არგენტინა, 3) — **არნო კლემანი** (საფრანგეთი) 6:3 4:6 6:3; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია, 7) — **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) 6:2 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბია-მონტენეგრო) — **რიკარდო მელო** (ბრაზილია) 7:6 6:4

ლიონში დაიწყო პირველი წრის თამაშები, რომლებიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართება. აქ ამერიკელი ენდი როდიკიც იასპარეზებს, რომელიც მთავარ ფავორიტად ითვლება.

ჩატარებული მატჩებიდან საყურადღებოა ლიონში მეშვიდე ნომრად განთესილი ხორვატი მარიო ანჩიჩის მიერ ამერიკელი ჯეიმს ბლეიკის დამარცხება. მატჩის წინ ხორვატი ფავორიტად არ მიიჩნეოდა, ვინაიდან ბლეიკი კარგ ფორმაშია: ეს სტოკჰოლმშიც გამოჩნდა, სადაც ამერიკელმა თავისი პირველი ევროპული ტიტული მოიგო. თუმცა გუშინ ანჩიჩმა უპრობლემოდ გაიმარჯვა და მეორე წრეშიც გავიდა.

ხორვატს იქ არგენტინელი გასტონ გაუდიოც შეურთდება, რომელმაც სამ სეტში მოუგო მასპინძელ არნო კლემანს.

არგენტინელმა თამაშის შემდეგ იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ მაგარსაფარზე საკმაოდ ნორმალური თამაში აჩვენა, რაც მისთვის ძალიან სასიამოვნოა.

ATP. სანკტ-პეტერბურგი.
რუსეთი. მაგარსაფარი
საპრიზო 975 ათასი $

პირველი წრე

ფლორენ სერა (საფრანგეთი) — **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) 6:7 6:3 6:4; **რობინ ვიკი** (ჩეხეთი) — **იარკო ნიემინენი** (ფინეთი, 6) 6:4 6:4; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) 6:3 7:6; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — **ვლადიმირ დავლეტინი** (რუსეთი) 6:3 6:4; **კენეტ კარლსენი** (დანია) — **მაქს მირნი** (ბელარუსი, 3) 6:7 7:6 6:4; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) 6:3 6:2

რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში დაწყებულმა ტურნირმა პირველივე სათამაშო დღეს ორი დიდი მოულოდნელობა შემოგვთავაზა. ტურნირს მესამე და მეექვსე ნომრები, შესაბამისად ბელარუსი მაქს მირნი და ფინელი იარკო ნიემინენი გამოემშვიდობნენ.

ბელარუსმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის მეტად არასტაბილური მოთამაშეა. დანიელ კარლსენთან მატჩში ის აშკარა ფავორიტი იყო და მირნიც თავიდანვე დაწინაურდა. მან შეძლო პირველი სეტის მოგება, მეორეში ორი ბრეიკი გააკეთა და მისი მოწოდების პატრონს ეს უპირატესობა უნდა შეენარჩუნებინა კიდეც, მაგრამ ვერ მოახერხა და მეორე წრის საგზური დანიელს დაუთმო.

ნიემინენმა კი ვერაფერი გააწყო ნაკლებად ცნობილი ჩეხი რობინ ვიკის წინააღმდეგ და თამაში ორ სეტში დათმო.

სხვა მატჩებიდან გამოსაყოფია კრემლის თასზე სენსაციათა მთავარი ავტორის, რუსი იგორ კუნიცინის მარცხი ფრანგ სოლნიესთან.

WTA. ლინცი. ავსტრია.
მაგარსაფარი
საპრიზო 585 ათასი $

პირველი წრე

ვერა დუშევინა (რუსეთი) — **ელენა იანკოვიჩი** (სერბია-მონტენეგრო, 7) 7:6 6:3 6:0; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — **მარიან ბარტოლი** (საფრანგეთი) 6:1 6:1; **სესილ კარატანჩევა** (ბულგარეთი) — **ივონ მოისბურგერი** (ავსტრია) 7:6 6:3

ავსტრიულ ლინცში ყველაზე საინტერესო მოვლენა კორტს გარეთ მოხდა, ვინაიდან აქ პირველ ნომრად განთესილმა ფრანგმა ამელი მორეზმომ უარი განაცხადა ტურნირში მონაწილეობაზე, მიზეზად კი ფეხის ქრონიკული ტრავმა დასახელა.

ფრანგის თქმით, იგი დასვენებას აპირებს, რათა ლოს ანჯელესის მასტერსის თასისთვის კარგ ფორმაში იყოს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აქ ძირითადად ის ჩოგბურთელები არიან თავმოყრილნი, რომელთაც არ გადაუწურავთ რეიტინგში სანუკვარ მერვე ადგილზე გასვლის იმედი, რაც ლოს ანჯელესის საგზურად იქცევა კიდეც. ამ ჩოგბურთელებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რუსი ელენა დემენტიევა, რომელსაც მორეზმოს უარის შემდეგ ქულათა მარაგის გაზრდის ჩინებული შანსი ეძლევა.

პირველი სათამაშო დღის მატჩებიდან გამოსაყოფია 33 წლის ვეტერანი ესპანელი კონჩიტა მარტინესის თამაში, რომელმაც იოლად დაიბრიყვა ფრანგი ბარტოლი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, ტურნირის მეშვიდე ნომრის, სერბ ელენა იანკოვიჩის მარცხი რუს ვერა დუშევინასთან.

კახა ლომაია



ამელი მორეზმო

რეგულარული ჩემპიონატი



ტორონტო — ბოსტონი

პარტნიორებმა ჰაშეკს წაუყრუეს

24 ოქტომბერი

კოლუმბუსი 2:6 დეტროიტი
1:1 1:4 0:1

1:0 ბერარდი (11), 1:1 შენაჰანი (17), 1:2 დაციუკი (28), 1:3 დაციუკი (30), 2:3 ლეტოვსკი (32), 2:4 შენაჰანი (37), 2:5 შნაიდერი (38), 2:6 ზეტერბერგი (52)

„დეტროიტი“ ძალიან სარგებლობს კიდევ ერთი ცვლილებით, რომელიც ლიგამ წლეულს შემოიტანა და რაზეც აქამდე არაფერი გვითქვამს.

საქმე ისაა, რომ ამ სეზონიდან კლუბები უფრო მეტ თამაშს ატარებენ თანადივიზიონელებთან სხვა დივიზიონებისა და კონფერენციის გუნდებთან მატჩების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. ჰოდა, „წითელფრთიანები“ ჩინებულად იყენებენ „კოლუმბუსის“, „სენტ ლუისის“ და „ჩიკაგოს“ სისუსტეს. იგივე „კოლუმბუსი“ უკვე ზედიზედ მეორედ გაანადგურეს ბოლო სამ დღეში, ოღონდ ამჯერად ოდნავ შეიბრალეს მეტოქე და ორი გოლი გაატანინეს (წინა შეხვედრა 6:0 მოიგეს).

კაროლინა 3:2 ოტავა
0:2 2:0 1:0

0:1 ივზი (1), 0:2 სპეცა (4), 1:2 სტაალი (28), 2:2 კალენი (32), 3:2 კაბერლე (43)

დომინიკ ჰაშეკი ამაოდ ურახუნებდა ყვანჯს ყინულს, რითაც მიანიშნებდა თანაკლუბელებს, დაცვას მიხედეთო. მისმა პარტნიორებმა ეს არ შეისმინეს და დაისაჯნენ კიდეც. მეორე პერიოდის შუაგულში „ოტავა“ უმცირესობაში იმყოფებოდა, როდესაც ერთბაშად ორმა „სენატორმა“ კონტრშეტევა წამოიწყო. სამწუხაროდ, ზღვინო ხარამ და კრის კელიმ შანსი დაკარგეს, საპასუხო შეტევაში კი მასპინძლებმა ჩინებულად გამოიყენეს შექმნილი რიცხობრივი უპირატესობა და ერიკ სტაალმა პირველი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ თამაშის სურათი შეიცვალა და საბოლოოდ მე-4 წუთზეკე იოლად, 2:0 დაწინაურებულმა „ოტავამ“ სეზონში პირველი მარცხი იწვნია.

ტორონტო 5:4 ბოსტონი
2:0 1:3 1:1 0:0 1:0 ბულიტების სერიაში

1:0 დომი (13), 2:0 მაკეიბი (14), 2:1 ლიჰი (24), 2:2 მორანი (24), 2:3 მაურეი (32), 3:3 ხავანოვი (37), 3:4 ბოიზი (44), 4:4 პონიკაროვსკი (56), 5:4 გადამწყვეტი ბულიტი: ლინდროსი

ბომბარდირები: იაგრი (რეინჯერსი) 15 (10+5), მაკეიბი (ტორონტო (14) (3+11), სტაალი (კაროლინა) 13 (6+7), ზეტერბერგი (დეტროიტი) 13 (5+8), უილიამსი (დეტროიტი) 13 (3+10), ნესლუნდი (ვანკუვერი), მიურეი (ბოსტონი) 12 (6+6), სავარი (ატლანტა), სპეცა (ოტავა (12 (4+8), ტორონტო (ბოსტონი) 12 (2+10), ფორსბერგი (ფილადელფია) 12 (0+12), განიე (ფილადელფია) 11 (7+4), მ. შუინარი (მინესოტა) 11 (6+5), რუჩინსკი (რეინჯერსი) 11 (4+7), ლაილსი (კოლორადო (11 (4+7), კროსბი (პიტსბურგი) 11 (2+9)

რისხვა, რომელმაც 18 მთამსვლელი შეიწირა

ჰიმალაის მთამსვლელურ ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია დატრიალდა, რამაც 18 ალპინისტის სიცოცხლე შეიწირა. და ეს მოხდა არა რომელიმე რვაათასიანზე, არამედ დასავლეთ ნეპალში მდებარე მანანგის რაიონში აღმართულ 6981 მეტრის სიმაღლის კანგრზე.

ამ მწვერვალზე ასვლას ცდილობდა ფრანგ მთამსვლელთა გუნდი, რომელსაც ტრადიციისამებრ თან ახლდნენ ადგილობრივი შერპები. ტრაგედია მოულოდნელად დატრიალდა, როდესაც მწვერვალიდან დაძრულმა უზარმაზარმა ზვავმა საბაზო ბანაკში მყოფი 18 მთამსვლელი ჩამარხა. მათ შორის იყო 7 ფრანგი და 11 ადგილობრივი მცხოვრები. ცოცხალი მხოლოდ ამ ექსპედიციის წევრი 4 ნეპალელი გადარჩა, რომლებიც ბედად ზვავისას ბანაკში არ იმყოფებოდნენ.



ზამთრის სტადიონი ზაფხულის თამაშებისთვის

გაისად ტურინში გასამართი ზამთრის ოლიმპიური თამაშების მთავარი სტადიონი, სადაც ამ ასპარეზობის საზეიმო გახსნა-დახურვა გაიმართება, თავის დროზე შევა ექსპლუატაციაში.

ოლიმპიადის ორგანიზატორთა თქმით, 30 ოქტომბრიდან უკვე შესაძლებელი გახდება ამ სტადიონზე ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის რეპეტიციების გამართვა, ხოლო ნოემბრის შუა რიცხვებისთვის ეს სარბიელი აბსოლუტურად მზად იქნება სპორტსმენთა მისაღებად.

ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენელმა ჟურნალისტებს ისიც აცნობა, რომ ახლა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტთან მიმდინარეობს მოლაპარაკება მათ თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს დეკემბრის დასაწყისიდან სტადიონისკენ მიმავალი ერთ-ერთი ქუჩის გადაკეტვას.

„ჩვენ არ შეგვიძლია ამ ნაბიჯის გადადგმა და ახლა უნდა განვიხილოთ „ფილადელფიის“ ქუჩის ღამის საათებში გადაკეტვის საკითხი“ — თქვა ტურინის მუნიციპალიტეტის მრჩეველმა.

პრესკონფერენციაზე დამსწრე ქალაქის მერმა სერჯიო კიამპარინომ ჟურნალისტებს ისიც აცნობა, რომ ოლიმპიურ სტადიონს მომავალში საფეხბურთო მატჩებისთვისაც გამოიყენებენ.

„შესაძლოა, ამ სტადიონზე ითამაშოს „იუვენტუსმა“, როცა სტადიონ „დელე ალპის“ რეკონსტრუქცია დაიწყება“ — თქვა ქალაქის მერმა.

ოლიმპიური სატუსაღო მედლის ნაცვლად

კვლავ გრძელდება იტალიის კანონთან დაკავშირებული აჟიოტაჟი, რომელიც დოპინგის მიღებაში მხილებული სპორტსმენებისთვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და, შესაბამისად, პატიმრობასაც ითვალისწინებს.

ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები შიშობენ, რომ ამ კანონის გამო ბევრი პროფესიონალი სპორტსმენი, ძირითადად კანადისა და ამერიკის წარმომადგენლები, უარს იტყვიან გაისად იტალიაში გასამართ თეთრ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.

ფიქრობდნენ, რომ იტალიაში საოლიმპიადოდ დროებით შეჩერდებოდა ეს კანონი, მაგრამ, ეტყობა, ისინი ცდებოდნენ. იტალიის ჯანდაცვის მინისტრმა ფრანჩესკო სტორაჩემ ორშაბათს გამორიცხა იტალიის ანტიდოპინგური კანონმდებლობის შეცვლა.

„მას, ვისაც ეშინია ამ კანონისა, შინ დარჩენას ვურჩევთ — ამბობს მინისტრი — სულაც არ ვაპირებთ ჩვენი ქვეყნის კანონების შეცვლას მათთვის, ვინც მიჩვეულია დოპინგის გამოყენებას“.

მინისტრი რომ არ ხუმრობს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იტალიის ქალაქ სან რემოს სასამართლომ რამდენიმე ველოსიპედისტს მიუსაჯა პირობით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმაც, რაკიღა მათ „იტალია 2001“-ის ველოტურისას ანტიდოპინგური კანონი დაარღვიეს.

ორშაბათს სასამართლომ 12 000 ევროიანი ჯარიმა და პირობით პატიმრობა გამოუწერა დარიო ფრიგოს, ჯუზეპე დი გრანდეს და ალბერტო ელის. ამასთან, სასამართლომ ხუთთვიანი და 20 დღიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა დომენიკო რომანოს; 40-დღიანი პატიმრობა არგუნეს ერმანო ბრინოლის, ხოლო მწვრთნელ პრიმო პრენოლატოს ექვსთვიანი პირობითი პატიმრობა და 6000 ევროს ჯარიმა გამოუწერეს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება კრივში საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის ძმის

მერაბ მესხაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კრივში საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის ძმის

მერაბ მესხაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

კვალიფიკაცია და ფრთები იცვლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

როგორც ვვარაუდობდით, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობამ ირწმუნა, რომ ფორმულა 1-ის წლევანდელი ერთადერთ-ცდიანი საკვალიფიკაციო ფორმატი უაზრობაა და უკეთესი ვარიანტი გამონახა.

არსებული წესისას პილოტის უმცირესი შეცდომა, ანდა ამინდის შეცვლა რადიკალურ გავლენას ახდენდა სასტარტო განლაგებაში და აქედან გამომდინარე, რბოლის შედეგზეც. სწორედ ასე იყო ახლახან დასრულებული სეზონის ბოლოსწინა, იაპონურ ეტაპზე, როცა მაჩანჩალა მანქანიანები ფავორიტებზე წინ განლაგდნენ.

გუშინწინ ლონდონში ფედერაციისა და გუნდების ბოსთა, აგრეთვე ტრასების ადმინისტრატორებისა და სპონსორების შეხვედრისას ერთხმად მიიღეს ახალი — სამნაწილიანი, „გამოთიშვით“ საპოულე სქემა.

მთლიანი და...



...ორნაწილიანი ფრთები

პირველი ორი გასვლის შემდეგ ხუთ-ხუთი უარესშედეგიანი მძღოლი გამოაკლდება და შესაბამისად მეთექვსმეტე-მეოცე და მეთერთმეტე-მეთხუთმეტე პოზიციებზე განლაგდებიან. დარჩენილი საუკეთესო ათეული კი კიდევ ერთ, მესამე ცდაზე „გაითამაშებს“ სასტარტო საფეხურებს პირველიდან მეათის ჩათვლით.

რევოლუციური აეროდინამიკური ცვლილებებია მოსალოდნელი ბოლიდების კონსტრუქციაში. ერთიანი, მთლიანი უკანა ანტიფრთა ორნაწილიანი გახდება, რაც მკვეთრად შეცვლის მანქანის გარსდენის საჰაერო ნაკადს, შეამცირებს ასფალტთან შეჭიდულობას და ყოველივე ეს, იდეის ავტორთა აზრით, საგრძნობლად გაზრდის გასწრებათა რაოდენობას. ავტოფედერაციის პრეზიდენტი მაქს მოსლი დარწმუნებულია, რომ საჯირიბოები უკვე 2007 წლიდან გადავლენ ამ ორფრთიან კონსტრუქციაზე.

გია ახალაძე





სტალონემ ხელთათმანები მოირგო

ამერიკელმა მსახიობმა და რეჟისორმა სილვესტერ სტალონემ რამდენიმე სპარინგი ჩაატარა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან ოთხ წონით კატეგორიაში, როი ჯონს უმცროსთან. ეს პაექრობები გათვალისწინებული იყო, სტალონეს სამზადისთან, რომელიც ითვალისწინებს მოკრივე როკი ბალბოაზე მეექვსე ფილმის გადაღებას. როგორც ALLBOXING.RU იუწყება, გამორიცხული არაა, რომ ამ ფილმში ჯონსმაც ითამაშოს, რომელიც მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონის მეისონ დიქსონის უარყოფითი პერსონაჟის მთავარ როლს შეასრულებს.

ამ როლში გადასალებად მოლაპარაკებები მიმდინარეობს აგრეთვე ანტონიო ტარვერთან, რომლის წარმომადგენლებიც ირწმუნებიან, რომ ამ ფილმში მონაწილეობის თაობაზე მოლაპარაკება თითქმის მიღწეულია.

სტალონემ აგრეთვე დაადასტურა, რომ „როკი 6“-ში გამოჩნდება ბევრი პერსონაჟი, რომლებიც ფილმის წინა ნაწილებში მონაწილეობდნენ. კერძოდ, ესენი იქნებიან დოლფ ლუნგრენი და მისტერ ტი, რომლებიც მესამე და მეოთხე ფილმში როკი ბალბოას ანტაგონისტურ როლებს თამაშობდნენ.

„პერსონაჟები, რომლებიც თქვენ იხილეთ პირველ სერიებში და რომლებიც დაივიწყეთ კიდეც, ბრუნდებიან და მეორეხარისხოვანი მოქმედი პირებიდან მთავარ მოქმედ გმირებად წარმოგვიდგებიან“, — თქვა სტალონემ.

გუნდური ჭიდაობები

ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ძიუდოში ისრაელი გალ იეკუტიელი (ზემოდან) უნგრელ ლასლო ბურიანს ებრძვის. ამბავი უნგრეთშივე, დებრეცენის ტატამზე ხდება.

AFP დებრეცენიდან

AFP ანარქიულიდან

ერაყიანელ ბიბლიოთეკარ

ბელადი

ასეთი გულშემატკივარი ჰყავს „ვაშინგტონ რედსქინზის“ მობურთალთა გუნდს. ბელადი ზი მთელი თავისი საბრძოლო აღკაზმულობით დაიარება თამაშებზე და ამჯერად გახარებულია. წითელყანიანებმა სან ფრანცისკოს აჯობეს. 52-17.

ისევ ჰერმინატორი

კვლავ ტრასაზეა ჰერმან მაიერი, სახალხოდ — „ჰერმინატორი“. ზოელდენში მსოფლიო თასის სეზონი გაიხსნა და პირველივე გიგანტური სლალომიც დიადმა ავსტრიელმა მოიგო.

AFP ზოელდენიდან

AFP ჰანოვერიდან

ლანაპული ჰანოვერში

ჰანოვერში „ტეუის დიდი პრიზი“ მიმდინარეობს, ჩემპიონი კი სწორედ ეს კაცია, ჰოლანდიელი გერვო შროდერი. ცხენს კი ლანაპული ჰქვია — კოხტა ცხენია, არა?!

AFP ბუენა ვისტადან

ფუნაის კლასიკური

ბუენა ვისტას ტბის პირად, ფლორიდაში უოლტ დისნეის ცნობილი კურორტია. იქაური ცხადია, საგოლფე „ფუნაი კლასიკი“ კი სწორედ ამ ჯეელმა, ლუკას გლოვერმა მოიგო. მიკი მაუსიც იქაა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge